პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976
კვირა
8
აგვისტო
№ 185 (16615)
ფასი 2 კაპ.
1976

## გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ

### სკკპ XXV ყრილობის მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიში

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობის სამტომიანი სტენოგრაფიული ანგარიშის მეორე ტომი (პირველი ტომი ივლისში გამოვიდა).

მეორე ტომში შევიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები", გამოსვლები მოხსენების გარშემო, ა. ნ. კოსიგინის საბოლოო სიტყვა, პარტიის XXV ყრილობის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ძირითადი მიმართულებების პროექტის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები.

გამოქვეყნებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა წარმოთქმული ყრილობის დახურვის დროს. დაბეჭდილია ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა სიები, უცხოელი სტუმრების გამოსვლები, აგრეთვე საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა, პარტიის XXV ყრილობის დელეგატთა სია. (საკდესი).

8 აგვისტო მშენებლის დღეა

# ვაშენოთ მკვიდრად, ლამაზად, იაფად!

**სამშენებლო ხარაჩოებზე აუცილებლად უნდა იყოს წარმოების ზუსტი ორგანიზაცია — ასეთია საღღეისო ამოცანა!**



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ითქვა: ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებში არ არის წარმოების ჯეროვანი ორგანიზაცია, ცუდად არის მოგვარებული საქმე, ამას კი გეგმების მუდმივი ჩაშლა, მატერიალურ-ტექნიკური სახსრების გაფანტვა, კადრების დენადობა, მძიმე ფინანსური და ეკონომიური შედეგები მოჰყვება.

მშენებელთა მისამართით თქმული ეს სიტყვები მთლიანად და სავსებით გამოხატავს მშენებლობაზე ამჟამად არსებულ ვითარებას. ბევრ სამშენებლო ორგანიზაციაში სწორედ წარმოების ორგანიზაციის მოუგვარებლობის გამო შექმნილი ცუდი მდგომარეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიული დადგენილებიდან გამომდინარე მშენებელთა წინაშე დასახა პერსპექტიული ამოცანა, რომ სამშენებლო საქმისათვის განსაკუთრებული ზრუნვა არა მარტო მეათე, არამედ მეთერთმეტე და მომდევნო ხუთწლედების მანძილზეც უნდა გაგრძელდეს, რომ ძირითადად გადაიჭრას ეს დიდი პრობლემა.

როგორც ჩანს, მშენებლებს მთელი ჩვენი საქმიანობის რადიკალურად გარდაქმნა მოგვიწევს. ყველა რგოლში, ყველა უბანზე, ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს, როგორც საერთო საქმის ორგანიზაცია, ისე მუშაობის ხარისხი, ამაღლდეს თვითეული მშენებლის დისციპლინა, პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

თანამედროვე მშენებლობას ინდუსტრიალიზაციის, სპეციალიზაციის და მექანიზაციის მაღალი დონე ახასიათებს, და მეათე ხუთწლედში ძირითად ამოცანას მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს. ჩვენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანა — შევამციროთ მშენებლობის ხანგრძლივობის ვადები და თვითღირებულება, ამისათვის კი აუცილებელია სრულვყოთ მშენებლობის წარმოების ორგანიზაცია, გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხელმძღვანელობის სტრუქტურა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე ბევრი რამ ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. რა დასკვნები გავაკეთეთ ჩვენ, მშენებლებმა კრიტიკიდან?

არც ისე დიდი ხანია, რაც სამეურნეო ანგარიში მშენებელთა საქმიანობაშიც დამკვიდრდა, და მან ცოტა წარმატება როდი მოგვიტანა, საგრძნობლად გაუმჯობესდა ობიექტების სამშენებლო მასალებით მომარაგება, შემცირდა მშენებლობის ვადები, გაუმჯობესდა ხარისხი. აღსანიშნავია, რომ კომპლექსური ბრიგადების უმეტესობამ, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე შრომობენ, თავიანთ ვალდებულებებში, როგორც წესი, შეიტანეს პუნქტი, რომ ობიექტებს ჩააბარებენ მხოლოდ „ფრიადი" და „კარგი" შეფასებით.

ეს მეტად საპატიო ვალდებულებაა! თუ თვითეული შრომითი კოლექტივი მას შეასრულებს, უდავოდ გადაიჭრება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პრობლემა. ჩვენი ბრიგადა ამ ვალდებულების შესრულებისათვის ყოველთვის წარმატებით იბრძოდა. გლდანის მასივში, სადაც 9-სართულიან სახლებს ვაგებთ, ახლა ბევრი მოწინავე სამშენებლო კოლექტივია, აქ შეჯიბრებას კარგი შედეგები მოაქვს. კერძოდ, ის, რომ ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, ვსწავლობთ ერთმანეთის წარმატებებსაც და ნაკლოვანებებსაც, ერთობლივად ვსახავთ ხარვეზების აღმოფხვრის გზებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ სამშენებლო კოლექტივებმა ერთხელ კიდევ გადახედეს თავიანთ რეზერვებს, ანალიზი გაუკეთეს შესაძლებლობებს, ადრე გაწეულ მუშაობას, შეაფასეს ზოგიერთი გადასაჭრელი მნიშვნელოვანი საკითხების პერსპექტიულობა და ბევრად გაადიდეს თავიანთი ვალდებულებანი. ეს საამაყო და სასიხარულოა თუნდაც იმიტომ, რომ მშენებელთა ეს ახალი ენთუზიაზმი, ახალი ინიციატივა პლენუმის გადაწყვეტილებებზე მეტად ოპერატიული, სწრაფი გამოხმაურება, რეაგირება იყო.

ჩანს, რომ მშენებელთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის გასულ წლებთან შედარებით ბევრად გაიზარდა, ახლა უფრო მოქნილად, ოპერატიულად ხდება სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებზე რეაგირება და უფრო აქტიურად მიმდინარეობს შეჯიბრება მათი შესრულებისათვის.

პირადად ჩვენმა ბრიგადამ, რომელშიც 31 მშენებელია გაერთიანებული, ვალდებულება იკისრა 9-სართულიანი სახლის მშენებლობა 6-7 თვის ნაცვლად 3-4 თვეში დაამთავროს. სამშენებლო ვადის შემცირების ასეთი ვალდებულება ჩვენ საპატიოდ მიგვაჩნია, რადგან მსხვილბლოკიან სახლებს ვაშენებთ და მსხვილპანელიან სახლებთან შედარებით უფრო შრომატევადი საქმე უნდა შევასრულოთ.

მშენებლის დღეს ჩვენი ბრიგადა სამშობლოს უპატაკებს, რომ წლეულს ორი ცხრასართულიანი სახლი უკვე ჩავაბარეთ და ახლა მესამე სახლს ვაგებთ, რომ ბრიგადაში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი მშენებელი, ჩვენი მიზეზით სამუშაო არც ერთი საათით არ გამცდარა. ასეთია ჩვენი პასუხი რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივაზე, რომელიც წარმოების ყველა რგოლში ჩამორჩენის აღმოფხვრას, დისციპლინის განმტკიცებას და პასუხისმგებლობის ამაღლებას ითვალისწინებს.

სამშენებლო ხარაჩოებზე ახლა საშური დღეებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს მუშაობას აფერხებს ზოგიერთი რამ, რაზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ. კერძოდ, ძალიან გვიშლის ხელს ელექტროენერგიის ხშირად გამორთვა. გლდანის მასივის მშენებლობაზე ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ასეთი ფაქტები არ განმეორდეს.

თუ ჩვენ გვინდა, რომ მშენებელთა მუშაობა წლის დასაწყისიდან დასასრულამდე რიტმული და ეფექტური იყოს, სახელმწიფო გეგმით დაწესებული გრაფიკით მიმდინარეობდეს, მაშინ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლის სამუშაო გეგმაში გავითვალისწინოთ გარდამავალი ობიექტები, რომ მშენებლებს წლის პირველ დღეებსა და თვეში მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეთ. კონსტრუქციების ხარისხი უთუოდ ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. მათზე არსებული დეფექტების ადგილზე გამოსწორება ბევრ დროს გვართმევს და, ცხადია, მშენებლობის ხარისხიც სახარბიელო არ არის.

კარგია, რომ სამშენებლო ხარაჩოებზე დღეს უმეტესობა ახალგაზრდობაა. ბევრი მათგანი ძველი თაობის მშენებელთა გვარდიის აღზრდილია, ბევრიც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან მოვიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება მინიჭებულ თანრიგებს, რაც აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ სასწავლებლებში დაბალია სწავლების ხარისხი, არ არის სათანადო მომთხოვნელობა. დროა ამ საკითხს მივხედოთ, რადგან მშენებელთა კადრების აღზრდა მნიშვნელოვანი საქმეა.

გლდანის მასივში დღისით ძალიან ცხელა, მაგრამ ჩვენ მაინც სამ ცვლად ვშრომობთ. თუმცა პირველ ცვლას მუშაობა უჭირს, მაგრამ მომდევნო ცვლებში ამას ვანაზღაურებთ. თვითეული ჩვენგანი პირადი გეგმა-ვალდებულებით შრომობს და ერთმანეთს ეჯიბრება. „შრომითი მეტოქეობის" ასეთი ფორმა კარგ ეფექტს იძლევა, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს, ამცირებს მშენებლობის ვადებს.

ამ შეჯიბრების ერთგულნი იყვნენ და არიან ჩვენი მშენებლები, რომელთა საპატიო შრომის დაფასების აღსანიშნავი დღესასწაული დღეს აღინიშნება. ვიყოთ მუდამ მოწინავენი, ვაშენოთ მკვიდრად, ლამაზად, იაფად! — აი რა არის ჩვენი მიზანი.

**თ. გოლეთიანი,**
№ 14 სამშენებლო ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ბრიგადის ხელმძღვანელი.

• • •

**სურათზე:** მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი თ. გოლეთიანი.

ვლ. მინზბურგის ფოტო.

7 აგვისტო

## „პრავდის" ფურცლებზე

### საწარმოს საყოფაცხოვრებო საამქრო

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის, მისი შრომის პირობებისათვის, ოსტატობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა ცხოვრების სოციალისტური წესის განუყოფელი ნიშანი გახდა. ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოთა საყოფაცხოვრებო სამსახურების სრულყოფას, რომლებიც წყვეტს მშრომელთა კოლექტივების ცხოვრების ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხს. იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული სამუშაო ადგილი, რამდენად კარგია შენობის ვენტილაცია და განათება, როგორი საჭმელია საამქროს სასადილოში, როგორ ემსახურებიან მშრომელებს პროფილაქტორიუმში, დამოკიდებულია ადამიანთა განწყობილება, საქმისადმი მათი დამოკიდებულება, საბოლოო ანგარიშით კი — შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

საწარმოებში საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი სრულყოფის ინტერესები დიდ მოთხოვნებს უყენებს სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროებს.

მშრომელთა საწარმოო ყოფა-ცხოვრების კარგი ორგანიზაცია, — ნათქვამია დასასრულ მოწინავეში, — სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. დაე თვითეულ საწარმოში პატივი სცენ საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებს. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები თვალყურს უნდა ადევნებდნენ მათ მუშაობას, აჩაღებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას და ამაღლებდნენ მომსახურების სფეროს პროფესიათა პრესტიჟს, მორალურად და მატერიალურად ახალისებდნენ თავისი საქმის საუკეთესო ოსტატებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს, რომ საწარმოებში და მშენებლობებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაიზარდოს საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობა, მათი მუშაობის ეფექტიანობა.

რუბრიკით — „პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის" — დაბეჭდილია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის გ. კრიუკრიუჩკოვის სტატია „პერსპექტივის გათვალისწინებით".

გაზეთი აქვეყნებს ცნობას („საბჭოთა ადამიანებისათვის"), რომ ცაგერის რაიონის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილას ახლახან აშენდა დასასვენებელი სახლი სოფლის მშრომელთათვის, ხოლო წყალტუბოში დასასრულს უახლოვდება სანიტარიული კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობა. აქ 8-სართულიან კორპუსში ერთდროულად დაისვენებს და იმკურნალებს 500 კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა. სრული დატვირთვით მუშაობს ამჟამად სანატორიუმი ურეკი, ცოტა ხნის წინათ გახსნილ 9 პიონერულ ბანაკში ერთდროულად ისვენებს 3.500-ზე მეტი სოფლელი ბავშვი. ჯანმრთელობის ახალი კერები შენდება ბორჯომში, საირმეში და სხვაგან. ახლა საქართველოს ჯანმრთელობის კერებში ხულ 500 ათასამდე სოფლის მშრომელი ისვენებს.

მკითხველი ამ ნომერშიც უხვად ნახავს საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაციას.

ПРАВДА

## შესანიშნავ ნაგებობათა შემქმნელებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის პრემიები მიანიჭეს საუკეთესო პროექტებისა და მათი მიხედვით მშენებლობისათვის.

პრემირებული ნამუშევრების სრული ნუსხა ქვეყნდება „სტროიტელნაია გაზეტაში". (საკდესი).

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!**

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# პარტიის გეგმები მოქმედების საბრძოლო პროგრამაა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის, საგეგმო, სამეურნეო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების აპარატის ამოცანები, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებებით.**

**სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ვ. ხ. ზურაბიშვილი**, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **ვ. ი. კობახიძე**, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **გ. დ. ყიფიანი**, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **გ. პ. გამცემლიძე**, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი **რ. ჰ. კონცელიძე**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ნ. ა. მეძმარიაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ი. გ. ზვერდწითელი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ი. ნ. ვეკუა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ე. ჩერქეზია**.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ითქვა, რომ მაღალი შეფასება, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას წარსულში დაშვებული ჩამორჩენის დაძლევისათვის, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის კანონიერ სიამაყეს იწვევს და ამასთან უნერგავს მისწრაფებას კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს კარგად ესმით, რომ ჩვენ არა გვაქვს იმაზე უფრო პასუხსაგები და საპატიო ამოცანა, ვიდრე ის, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელებისათვის და კიდევ უფრო ავამაღლოთ ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე საზოგადოებრივი წარმოების განვითარების, მისი ეფექტიანობის გადიდების, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და დაკისრებული საქმისათვის თვითეულის პასუხისმგებლობის გაძლიერების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების პასუხი იყო რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების ახალი ენთუზიაზმი, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ ისწრაფვიან იმუშაონ კიდევ უფრო უკეთ, კიდევ უფრო ეფექტიანად, რათა განახორციელონ პარტიის გეგმები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში, ჩაიარა უდიდესი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვით რესპუბლიკის პარტორგანიზაციისათვის, საქართველოს ყველა მშრომელისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებანი ყველა დარგში პრაქტიკული მოქმედების პროგრამაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომამ ჩაიარა მაღალი პრინციპულობისა და პარტიული მომთხოვნელობის, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. ძირითადად ლაპარაკი იყო არა მიღწევებზე, არამედ იმ ნაკლოვანებების დაძლევის გზებზე, რომლებიც ეკონომიკასა და კულტურულ მშენებლობაში გვაქვს, იმაზე, რომ საჭიროა საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ პრობლემებს.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ღრმად გააანალიზეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის საქმეთა მდგომარეობა. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები, ერთად განსაზღვრეს რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე კომუნისტური პარტიის მიერ დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე ქმედითი საშუალებანი.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ რესპუბლიკა საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებითა და ეროვნული შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაში აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ხუთწლეულში რესპუბლიკაში ამ მაჩვენებლების ზრდის უფრო სწრაფი ტემპია დაგეგმილი, იგი მაინც ვერ არის საკმარისი საშუალო საკავშირო დონის მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ბევრი სხვადასხვა რეზერვის გამოყენებას, რომელთა ამოქმედებას შეუძლია ფრიად საგრძნობი ეკონომიური და სოციალური ეფექტიც მოგვცეს.

ასეთი რეზერვებიდან ერთ-ერთია საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. მაგრამ ამ მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. საწარმოთა რეკონსტრუქცია გაუმართლებლად ჭიანურდება და ვერავითარ ნორმატიულ ვადაში ვერ ეტევა. მაგალითად, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის რეკონსტრუქცია 12 წელს მიმდინარეობდა, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის" რეკონსტრუქციას ოთხ წელიწადს მოუნდნენ, და მაინც, საექსპლოატაციოდ რომ გადასცეს, ბევრი სამუშაო დაუმთავრებელი იყო. ჭიანურდება სამუშაოები ქუთაისის ელექტრომექანიკურ, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში. ამაში ბრალი მიუძღვით როგორც სამშენებლო ორგანიზაციებს, ისე შემკვეთებსაც, რომლებიც დროზე არ უწევენ მათ ჯეროვან დახმარებას და უგვიანებენ მშენებლებს ტექნიკურ დოკუმენტაციას, მოწყობილობას.

(დასასრული მე-2 გვერდზე).




## მოწინავე ბრიგადები

**თბილისი.** დამკვრელური დღეებია თბილისის მეტროპოლიტენის ახალი მონაკვეთის მშენებლობაზე საბურთალოს მიმართულებით. № 22 უბანი, რომლის ბრიგადებიც მარცხენა გადასარბენ გვირაბს აგებენ, ცდილობენ სამუშაოები რაც შეიძლება მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

რუსთაველთა მაგალითისამებრ ნაკისრი მაღალი ვალდებულებებით შრომობენ გვირაბგამყვანთა ბრიგადები, რომლებსაც თ. კაჭმაზოვი და ლ. ბაღაშვილი ხელმძღვანელობენ. თ. კაჭმაზოვის ბრიგადა ნ. ზლობინის მეთოდით შრომობს და გვირაბის გაყვანის რეკორდს ამყარებს, მან მოკლე ხანში გაიყვანა 50 მეტრი გვირაბი.

№ 22 უბნის გვირაბგამყვანები ცდილობენ არ ჩამორჩნენ საერთო დამკვრელურ შრომას და პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებები.

**ე. ნოზაძე,**
თბილგვირაბმშენის № 5 საგვირაბო რაზმის № 22 უბნის მექანიკოსი.

## მტკიცე დისციპლინით

**ზუგდიდი.** ჩვენი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წლევანდელი ვალდებულებები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებს გავეცანით. კომბინატში საამქროებს, უბნებსა და ბრიგადებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში ჩვენმა საამქრომ ისახელა თავი, 7 თვის გეგმის გადამეტებით 30 ტონაზე მეტი პროდუქცია გამოუშვა. ამაში ჩვენი ბრიგადის წვლილიც არის.

ვცდილობთ სანიმუშოდ ვიშრომოთ და მაღალი დისციპლინისა და პასუხისმგებლობის მაგალითი ვაჩვენოთ.

**ნ. წიქორიძე,**
ზუგდიდის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი.

### სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიაში

# საკვების დამზადება უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანაა

**სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამა საკვებწარმოებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის სასოფლო რაიონების სოციალისტური შეჯიბრების წლევანდელი ივლისის შედეგები და განსაზღვრა გამარჯვებული რაიონები რესპუბლიკის შვიდივე ზონის მიხედვით.**

**პირველ ზონაში:**

პირველ ადგილზეა **მარნეულის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 5,82 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **გარდაბნის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 5,38 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **საგარეჯოს რაიონი**, რომელმაც დაამზადა 4,53 ცენტნერი საკვები ერთეული.

**მეორე ზონაში:**

პირველ ადგილზეა **მცხეთის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 6,37 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **ხაშურის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 4,77 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **თეთრი წყაროს რაიონი**, რომელმაც დაამზადა 4,34 ცენტნერი საკვები ერთეული;

**მესამე ზონაში:**

პირველ ადგილზეა **ადიგენის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 6,39 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **ახალციხის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 4,06 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **ახალქალაქის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 2,86 ცენტნერი საკვები ერთეული.

**მეოთხე ზონაში:**

პირველ ადგილზეა **საჩხერის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 2,04 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **ამბროლაურის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 1,44 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **ქალაქ ტყიბულის ზონის** მეურნეობები, რომლებმაც დაამზადეს 1,22 ცენტნერი საკვები ერთეული.

**მეხუთე ზონაში:**

პირველ ადგილზეა **სამტრედიის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 4,07 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **ზესტაფონის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 1,58 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **ქალაქ წყალტუბოს ზონის** მეურნეობები, რომლებმაც დაამზადეს 0,97 ცენტნერი საკვები ერთეული.

**მეექვსე ზონაში:**

პირველ ადგილზეა **აბაშის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 2,02 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **ხობის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 1,77 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **ლანჩხუთის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 1,01 ცენტნერი საკვები ერთეული.

**მეშვიდე ზონაში:**

პირველ ადგილზეა **ქალაქი გაგრა**. ქ. გაგრის ზონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს 3,27 ცენტნერი საკვები ერთეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირობით სულზე;

მეორე ადგილზეა **გუდაუთის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 2,15 ცენტნერი საკვები ერთეული;

მესამე ადგილზეა **ხელვაჩაურის რაიონი**, რომელმაც დაამზადა 1,53 ცენტნერი საკვები ერთეული.

ზაფხული იწურება. ახლა საკვებმომპოვებლებს ყველაზე დაძაბული მუშაობა აქვთ. მათი მუშაობის ყოველი დღის, მართლაც რომ ყოველი საათის შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის საკვების საჭირო მარაგის, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დასაზღვევი მარაგის შექმნისათვის.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების დევიზი უნდა იყოს მინდვრებში, მდელოებსა და თიბვისათვის გამოსადეგ ნაკვეთებში ბალახის მთელი მოსავლის აღება.

დღეს საკვების დამზადებას — ამ პასუხსაგებ სასოფლო-სამეურნეო კამპანიას ისეთი გაქანება უნდა მივცეთ, ისეთი ორგანიზება მოვახდინოთ, რომ თიბვა სწრაფად, ხარისხიანად და მინიმალური დანაკარგებით დავამთავროთ.

მაგრამ, როგორც აღინიშნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე, რესპუბლიკაში საკვების დამზადების ტემპი ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი არ არის. წლეულს ყველგან არის ყველა სახეობის საკვების დაგროვების გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულების პირობები, მაგრამ მათ სრულად ვერ ვიყენებთ. მეტიც, მთელ რიგ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კერძოდ, ჩოხატაურის რაიონში, აგვისტოს დამდეგისათვის არც კი დაუწყიათ თუნდაც ერთი რომელიმე სახეობის საკვების დამზადება.

შეუწყნარებლად ნელი ტემპით წარმოებს საკვების დამზადება ლაგოდეხის რაიონის სოფლებში — შრომის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ნანობაშვილი), ბაისუბნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე პ. ციკარიშვილი), განჯალის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. მუსაევი). რაიონში ცუდად წრის სენაჟის ჩადების საქმეც, თუმცა ამის ყველა შესაძლებლობა არსებობს.

ბალახების თიბვა ჭიანურდება თეთრი წყაროს რაიონის ზოგიერთ მეურნეობაში. მაგალითად, ორბეთის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი გ. ბაკურაძე) უხეშ საკვების დამზადების გეგმა მხოლოდ 25 პროცენტით შეასრულა, ამ დროს კი აქ ბალახი გადაბერდა და მისი ხარისხი გაუარესდა.

საკვების დამზადების ტემპი შენელდა ბოლნისის რაიონშიც, რომელიც შეჯიბრების შედეგებით ივნისში პირველ ადგილზე იყო, ახლა კი მეექვსეზე გადაინაცვლა. მაგალითად, რატევნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი უ. ქართველიშვილი) არ დაუწყიათ სილოსის ჩადება, თუმცა ამისათვის საკმაო რაოდენობით მწვანე მასა აქვთ. იქვე შეუწყნარებლად აჭიანურებენ ნამჯის

(დასასრული მე-2 გვ.).

# პარტიის გეგმები მოქმედების საბრძოლო პროგრამაა

(დასასრული)

მწვავე პრობლემად რჩება საწარმოთა ტექნიკური განახლება. ასე და, რესპუბლიკის საწარმოებში დადგმული ლითონსაჭრელი ჩარხების 18 პროცენტის „ასაკი" 20 წელს აღემატება. ანალოგიური მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში.

წარმოების მოცულობის გადიდების რეზერვებს განეკუთვნება აგრეთვე საწარმოთა პოტენციური შესაძლებლობების გამოყენება. რესპუბლიკაში არსებული საწარმოო სიმძლავრენი სრულად არ არის დატვირთული, დაბალია მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი. არ ამოქმედებიათ ეს რეზერვები რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, „თბილისხელსაწყოს", 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელ, მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხნებსა და მთელ რიგ სხვა საწარმოებს.

ძალიან სასარგებლო იქნებოდა აგრეთვე შრომითი რესურსების უფრო რაციონალური და სრული გამოყენებაც, კერძოდ, მცირე ქალაქებსა და მთაში მსხვილი საწარმოების ფილიალების მშენებლობის გზით. ეს პროცესი, აღინიშნა სხდომაზე, უნდა დაჩქარდეს.

სხდომაზე დაწვრილებით და ამასთანავე სერიოზული შეშფოთებით ილაპარაკეს პროდუქციის ხარისხის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. მაგალითად, ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მქონე ნაწარმს უშვებს რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მხოლოდ 16 საწარმო, თანაც ეს პროდუქცია წარმოების საერთო მოცულობის სულ 2,5 პროცენტს შეადგენს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უმაღლესი ხარისხის კატეგორიის პროდუქციამ რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობაში 4,6 პროცენტი შეადგინა. ეს მაჩვენებლები ერთობ ჩამორჩება საშუალო საკავშიროს. შეუწყნარებელია, ხაზგასმით აღნიშნეს სხდომაზე, რომ პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის საკითხებს ხშირად მეორე პლანზე აყენებენ. ამოცანა ის არის, რომ ეს საკითხები სამინისტროებისა და უწყებების ყოველდღიური საქმიანობის უპირველესი საზრუნავი გახდეს; თითოეულ საწარმოში ყველამ — ხელმძღვანელი იქნება, თუ მუშა, — უნდა გააძლიეროს პირადი პასუხისმგებლობა საერთო საქმის წარმატებისათვის. ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხის მართვის ეფექტიან სისტემათა დანერგვას.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე მეცნიერულ-საფუძველზე სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის პრობლემები. ამასთან დაკავშირებით ილაპარაკეს მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებებისათვის მართვის გენერალური სქემების შესახებ. მრეწველობის ბევრ დარგში მიმდინარეობს კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პროცესი, რომელიც სამეცნიერო-საწარმოო, საწარმოო-ტექნიკური და საწარმოო გაერთიანებების შექმნის გზით ხორციელდება. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ჯერ კიდევ ყველგან როდი უთმობენ სათანადო ყურადღებას.

რესპუბლიკის ჩამორჩენა ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, სოფლის მეურნეობის განვითარების ნაკლოვანებებითაც არის გამოწვეული. უკანასკნელი სამი წლის ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია.

სხდომაზე ასეთი მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, იმით ახსნეს, რომ მინისტრთა საბჭო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და მათი სოფლის მეურნეობის სამმართველოები სათანადოდ კვალიფიციურ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი დონე, ბევრი მეურნეობის ზარალიანობა თუ მცირე რენტაბელობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ბოლო დრომდე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა მათს სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე. ეს პროცესი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად, უნდა დაჩქარდეს, თანაც საჭიროა მისი მოფიქრებული წარმართვა.

შარშან 188 ძირითადად მცირე სიმძლავრის კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გარდაიქმნა. მიუხედავად ამისა, ზარალიან მეურნეობათა რიცხვი არათუ არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა კიდეც. ნაკლებად რენტაბელურ კოლმეურნეობათა რაოდენობამ 45 პროცენტს გადააჭარბა. შრომის ნაყოფიერება სულ 1,9 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც მისი ანაზღაურება 4,8 პროცენტით გადიდდა.

არც რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს აქვთ უკეთ საქმე. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების საერთო რიცხვის 70,5 პროცენტი ზარალიანი ან ნაკლებად რენტაბელურია.

ასეთი მდგომარეობა, აღინიშნა სხდომაზე, მოითხოვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ყველაზე სერიოზულ ყურადღებას.

საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაქსიმალური ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწების მელიორაციას. მაგრამ პარტიისა და მთავრობის მიერ რესპუბლიკისათვის მეათე ხუთწლედში დასახული წყალსამეურნეო მშენებლობის ვრცელი პროგრამის განხორციელებაში, როგორც სხდომაზე აღინიშნა, არის ბევრი სერიოზული ნაკლი და ხარვეზი, რომლებიც განაპირობებენ დაბალ და არასტაბილურ მოსავალს სარწყავ მიწებზე.

სხდომაზე სამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა იმის გამო, რომ უაღრესად არადამაკმაყოფილებელია პერსპექტიული და კომპლექსური დაპროექტების მდგომარეობა. ამის კიდევ ერთი დადასტურება ის იყო, რომ სამინისტრომ არ უზრუნველყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით კახეთის რაიონების საირიგაციო მშენებლობის მსხვილი კომპლექსური ობიექტები, არა და, ამ სამუშაოებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს: დასახულია, კახეთის სარწყავი ფართობების გადიდების შედეგად მარტო მეათე ხუთწლედში ყურძნის მთლიანი მოსავალი 300 ათასი ტონითა და მეტად გაიზარდოს.

არ გადაჭრილა აგრეთვე კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობის პრობლემა.

როგორც წესი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს ხოლმე მისთვის ყოველწლიურად გამოყოფილ დიდ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებას, სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებათა შესრულებით კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

ეკონომიკის ბევრი დარგის საქმიანობის გაუმჯობესებას აბრკოლებს კაპიტალური მშენებლობის ცუდი მდგომარეობა. წლითიწლობით აუთვისებელი რჩება მნიშვნელოვანი სახსრები, რომლებიც გამოყოფილია როგორც საწარმოო, ისე სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობისათვის. სწორედ ამიტომ, სხდომაზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებისა და მთელ რიგ სხვა უწყება-სამინისტროთა მისამართით, რომლებსაც, გარდა ამისა, ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანები.

ორატორებმა კაპიტალურ მშენებლობაში ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს შორის განსაკუთრებით აღნიშნეს მისი ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებს საკმაო საწარმოო სიმძლავრე აქვთ, ისინი ხშირად შეფერხებით უგზავნიან მშენებლებს თავიანთ პროდუქციას, თანაც ნაწარმი ზოგჯერ მდარე ხარისხისაა. ვერც ინერტული მასალების მიწოდების საქმეა კარგად, თუმცა ეს მასალები რესპუბლიკას უხვად აქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საშენ მასალათა მრეწველობის საქმიანობის ძირეული გარდაქმნის პროგრამა, რაც, უდავოდ, სასიკეთო გავლენას მოახდენს მშენებელთა შრომის შედეგებზე.

სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, რომ მომსახურების სფეროში — ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში რამდენადმე გაუმჯობესდა საქმის მდგომარეობა, მაგრამ ამასთანავე დასძინეს, რომ გადაიდგა მხოლოდ პირველი ნაბიჯები იმ შეუპოვარ ბრძოლაში, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს სახალხო მეურნეობის ამ დარგებში ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის. საჭიროა მიღებულ იქნას დამატებითი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის 35 ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციიდან ხომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქონელბრუნვის გეგმა რვას არ შეუსრულებია, ცეკავშირის სისტემაში კი შესაბამისად 61-დან — 21-ს. უნდა ამაღლდეს სავაჭრო ორგანიზაციათა ეკონომიური და კომერციული მუშაობის დონე. მეტი ოპერატიულობა გვმართებს სასაქონლო რესურსების მანევრირებაში, საჭიროა დავამყაროთ ჯეროვანი წესრიგი საზოგადოებრივ კვებაში, გავაფართოოთ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელი და განვამტკიცოთ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მკვეთრად ავამაღლოთ მომსახურების კულტურა. იმის გამო, რომ ცუდად არის ორგანიზებული ვაჭრობა, რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს მდარე ხარისხიან ან მოსახლეობისათვის შეუფერებელ საქონელს — გამუდმებით იზრდება მაღაზიის თაროებზე და საწყობებში გაუსაღებელი საქონლის რაოდენობა, მატულობს მათი ზენორმატიული მარაგი, და, მაშასადამე, — ზარალიც.

ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება სრულად რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, მეტადრე სოფლად, აღნიშნეს სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა. საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი საწარმო ვერ ასრულებს მომსახურების რეალიზაციის გეგმებს, ყველგან არ იყენებენ ეფექტიანად მოწყობილობას, მატერიალურ რესურსებს. კვლავინდებურად ცუდად წარმოებს დარგის საწარმოთა მშენებლობა.

იმის გამო, რომ ყველა სამინისტრო და უწყება სისტემატურად და თანამიმდევრულად არ აღმოფხვრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ ეძებს შიდასამეურნეო რეზერვებს მობილიზაციისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის, საგეგმო, საფინანსო და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბევრი გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს აწყდება, რაც აბრკოლებს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დიდი ყურადღება დაუთმეს საკითხებს, რომლებიც ეხება მეცნიერული კვლევის კოორდინაციას, ეკონომიკისათვის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების შემუშავებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვის დაჩქარებას, მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებას. ამ დარგებში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგად ძირითადად არ დგება დიდი პროგრამული, პერსპექტივისათვის გათვალისწინებული მეცნიერული პროექტები ეკონომიკის ამა თუ იმ დარგისათვის, არ ხორციელდება ღრმად დასაბუთებული პროგნოზირება. ფერხდება ტექნიკური პროგრესი. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვა ყოვნდება, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მიზეზით, და მეორე მხრივ, საწარმოთა ხელმძღვანელების მიზეზით, რომლებიც ხშირად მხოლოდ სიტყვით იჩენენ ინტერესს ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი.

აღინიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია მაღალკვალიფიციური კადრების, მეცნიერული მუშაკების მომზადებაში, რაც დაღს ასვამს რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. საკმაოდ არ არის განვითარებული ეგრეთწოდებული საქარხნო მეცნიერება, ცოტაა სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები, უშუალოდ წარმოებაში რომ მოქმედებდნენ.

განიხილეს აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის გაუმჯობესების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდისა და ამ სასწავლებლებში მიღების კონტინგენტის ზრდის ტემპის შესაბამისობის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და განმტკიცების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარების საკითხები. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ყველა არსებულ შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ. სხდომის მონაწილეები სრულიად პრინციპულად გამოთქვამდნენ აზრს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საქმის ვითარება ჯანმრთელობის დაცვის დარგში. შეეხნენ ბევრ სხვადასხვა საკითხს — საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობას თუ მედიცინის მუშაკთა კადრების განაწილება-განლაგებას. სხდომაზე დასახეს ამ დარგში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების ღონისძიებანი.

კულტურული მშენებლობის პრობლემების განხილვისას აღინიშნა, რომ დისპროპორციაა სოფლის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებაში. რესპუბლიკის სოფლებში შედარებით დაბალია მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ კინოს დასწრებას (ეს მაჩვენებელი 2,5-ჯერ ნაკლებია საშუალო საკავშიროზე), ბიბლიოთეკების ფონდებში წიგნის რაოდენობას, მოსახლეობისათვის ლიტერატურის მიყიდვას.

რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ რუსთაველ მეტალურგთა მოწოდებას, რომ განამტკიცონ სოციალისტური დისციპლინა, იბრძოლონ, რათა გვერდით არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო. სწორედ რომ მისაბაძია ეს პირველი პრაქტიკული გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაზე. მინისტრთა საბჭოს სხდომის მონაწილეებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგ მოიწონეს ეს თაოსნობა და საჭიროდ ცნეს უზრუნველყონ მისი ყოველმხრივი გავრცელება, რადგან მის შესაბამისად სახელმწიფო წესრიგისა და შეგნებული სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლა თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე წარიმართება.

ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის დანაკარგები, არ აღმოფხვრილა უყაირათობის, ნედლეულისა და მასალის, ფულადი სახსრების მფლანგველური ხარჯვის ფაქტები, ჯეროვან დონეზე არ არის დაყენებული სოციალისტური საკუთრების დაცვა; გაფლანგვა-დატაცებანი მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში არ მცირდება, ზოგან კი იზრდება კიდეც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების შესაბამისად, აღინიშნა სხდომაზე, საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. ხელმძღვანელობს რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მითითებებით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. სხდომაზე მოიყვანეს ფაქტები, როცა ზემდგომი ორგანოების დირექტივების შესრულებისადმი კონტროლის საქმეში ნაკლოვანებების გამო, აგრეთვე იმის შედეგად, რომ ცალკეული საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდნენ მინდობილ საქმეს, და მეცნიერულად არ იყო ორგანიზებული შრომა, ადგილი ჰქონდა ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, უყაირათობის შემთხვევებს.

აღინიშნა, რომ სამინისტროებისა, და უწყებების აპარატის, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დარგობრივი ორგანოების მუშაობის სტილი და მეთოდები ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ცუდად არის საშემსრულებლო დისციპლინის საქმე, უხეშად ირღვევა დავალებათა შესრულების, ანგარიშების წარდგენის ვადები. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები ხშირად სუბიექტურად უდგებიან ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტას. მთელ რიგ შემთხვევებში დადგენილებებსა და განკარგულებებს ისე გამოსცემენ ხოლმე, რომ ყოველმხრივ არ აქვთ შესწავლილი პრობლემა, არ შეუთანხმებიათ იგი ყველა დაინტერესებულ უწყებასთან. ამის შედეგად ერთსა და იმავე საკითხზე ზოგჯერ არარეალურ გადაწყვეტილებებს იღებენ, ხანდახან კი რამდენიმე გადაწყვეტილებაც გამოაქვთ. ბევრი სამინისტროსა და უწყებისათვის, დირექტიული ორგანოების, და თვით საკუთარი გადაწყვეტილებების, განუხრელი შესრულება ჯერ კიდევ არ გახდარა ყოველდღიური საქმიანობის კანონი. საკმაოდ ფართოდ გავრცელდა მანკიერი პრაქტიკა, როცა თვითკრიტიკის საზიანოდ კრიტიკას არიან გადაჰყოლილნი, არ შეუძლიათ, ან არადა არ სურთ კრიტიკულად მოეკიდონ საკუთარ საქმიანობასა და ნამოქმედარს. ხოლო რაც შეეხება ამა თუ იმ უბანზე საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ზოგჯერ მხოლოდ ხელმძღვანელობის გამოცვლას სჯერდებიან ხოლმე და უგულებელყოფენ ისეთ შესანიშნავ საშუალებას, როგორიცაა კოლექტივებში ეკონომიური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, თვითდისციპლინისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვა თითოეულ მუშაკისათვის.

სხდომის შედეგები შეაჯამა ზ. ა. პატარიძემ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება და დაამტკიცა იმ ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც შეგვასრულებინებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებებს. (საქინფორმი).**

# საკვების დამზადება უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ნოებას. სამარცვლე თავთავიანთა მოსავალი აქ 745 ჰექტარზე აიღეს, ნამჯა კი მხოლოდ 60 ჰექტარი ფართობიდან გამოზიდეს. ანალოგიური სურათია დარბაზის (დირექტორი ფ. მამიდოვი) და ქვეშის (დირექტორი ა. შარაშენიძე) საბჭოთა მეურნეობებში.

უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკვების დამზადებას წალკის რაიონში. 1 აგვისტოსათვის აქ მხოლოდ 4.451 ტონა სენაჟი დაამზადეს მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია 17.598 ტონა, 4.822 ტონა სილოსი — გეგმით გათვალისწინებული 21.271 ტონის ნაცვლად, 875 ტონა თივა — გეგმით გათვალისწინებული 32.666 ტონის ნაცვლად. ამასთან დამზადების ტემპი ახლაც ჩამორჩება სასურველს.

ბალახი მიწათმოქმედის ისეთსავე ზრუნვას მოითხოვს, როგორც ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა. მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ იქ, სადაც საკვები კულტურების ნათესები გამოყოფილია მექანიზებულ ბრიგადებსა თუ რგოლებზე, სადაც მექანიზატორებს აქვთ საჭირო ტექნიკა, სადაც დროულად აწყობენ და ეფექტიანად იყენებენ საშრობ პუნქტებს, სასილოსე და სასენაჟე საცავებს, საკვების საამქროებს, მეცხოველეობა ყოველთვის უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი საკვებით.

სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ისე უნდა წარიმართოს, რომ მექანიზატორები რაც შეიძლება ეფექტიანად იყენებდნენ ტექნიკას, შეუფერხებლად მუშაობდეს ყველა მანქანა და აგრეგატი.

საკვების დასამზადებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ტექნიკა საკმარისი რაოდენობით აქვთ. მაგრამ, როგორც აღინიშნა კომისიის სხდომაზე, ჯერ კიდევ ყველგან როდი იყენებენ მთლიანად ტრაქტორის სათიბებს, საწნეხ-ამკრებ მანქანებს, ვიტამინიანი ბალახის ფქვილის დასამზადებელ აგრეგატებს. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დატვირთული თვითეული აგრეგატი. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები და მიაღწიონ იმას, რომ ყველა აგრეგატი სრული უკუგებით მუშაობდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დამზადებული საკვების ხარისხს. ხშირია შემთხვევა, როცა შენახული საკვების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

საჭიროა საკვების მთელი რესურსების აღრიცხვა, მათი ყაირათიანად გამოყენება. იქ, სადაც მთის ციცაბო ფერდობებზე, ხევებში, მდინარეების დაჭაობებულ ჭალებში, ტყის სავარგულებში, ბაღებისა და ვენახების მწკრივთაშორისში, სხვა მოუხერხებელ ადგილებში არ შეიძლება ტექნიკის გამოყენება, უნდა მოვიხმაროთ მთიბავები, მათგან შევქმნათ სპეციალური ბრიგადები, დავაინტერესოთ ადამიანები, მორალურად და მატერიალურად წავახალისოთ ისინი.

მაღალი მთის ბევრ რაიონში, მაგალითად, დუშეთის, ყაზბეგისა და სხვა რაიონებში, სადაც ბალახების თიბვა, საკვების დამზადება უფრო მოგვიანებით იწყება, ვიდრე დაბლობ რაიონებში, უნდა გავითვალისწინოთ გასული წლების გამოცდილება, დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ხარვეზები, გავითვალისწინოთ ყველაფერი, რათა წარმატებით, უდანაკარგოდ და, რაც მთავარია, დადგენილ ვადებში დავამთავროთ ეს უაღრესად საპასუხისმგებლო სასოფლო-სამეურნეო კამპანია.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნოყიერი კომპონენტების — აკაციის ფოთლის, კვების მრეწველობის ნარჩენების დამზადებას. ისინი დიდად უწყობს ხელს საკვების რაოდენობის გადიდებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას.

კომისია მოუწოდებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს უმოკლეს ვადებში მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას საკვების დამზადების საქმეში. უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ მასობრივი და ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება ფურაჟის მაქსიმალური მარაგის შექმნისათვის. დავრაზმოთ საწარმოო კოლექტივები, კომუნისტები, კომკავშირელები, ახალგაზრდობა, მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებისათვის. უნდა გავაწყოთ ბრიგადებისა და რგოლების შეუფერხებელი მუშაობა, შევიარაღდეთ მუშაობის პროგრესული მეთოდებით, მორალურად და მატერიალურად წავახალისოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომითი აქტივობა, ოპერატიულად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, გადაჭრით ვებრძოლოთ დანაკარგებს.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი უფრო ფართოდ უნდა აშუქებდნენ საკვების დამზადების მიმდინარეობას, აანალიზებდნენ და პოპულარიზაციას უწევდნენ საუკეთესო ბრიგადებისა და მეურნეობების გამოცდილებას.

იმ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებსაც მეცხრე ხუთწლედი უსახავს რესპუბლიკის მეცხოველეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს, ფურაჟის დამზადებისათვის მუშაობაში უნდა მივაღწიოთ მყარ ტემპს. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შევქმნათ საკვების საჭირო მარაგი. ეს იქნება დარგის თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების საწინდარი.

(საქინფორმი).

# ტყე გაკაფეს... საზამთრო დათესეს

## პარტიის რაიკომის ბიურომ ამხილა

წივგომბორის მთიდან გადახედავთ თუ არა ვერცხლისფრად მოელვარე, დაკლაკნილ ალაზანს, გული გეტკინებათ. ოდესღაც გაუვალი ჭალით დაფარულ მის ნაპირებზე ხეს ვერ ნახავთ, ჩრდილში თავი რომ შეაფაროთ. ზოგს ცულით, ზოგს ტრაქტორით, ზოგს კიდევ სხვა საშუალებით, ისე ამოუძირკვავს ეს ადგილები, რომ უდაბნოდ ქცეულა.

რატომ ხდება ასე? როგორც სხვა რაიონებში, ისე წითელწყაროშიც ხომ არსებობს სატყეო მეურნეობა, რომლის უშუალო მოვალეობაა ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობით გააშენოს ტყე? დიახ, არსებობს, მაგრამ ვაი ასეთ არსებობას!

სწორედ სატყეო მეურნეობის მუშაკების დაუდევრობით, დღემდე რაიონში ტყის გასაშენებლად მაინცდამაინც ბევრი არაფერი გაკეთებულა. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წითელწყარო როგორც ადრე, ახლაც ერთ-ერთი უტყეო რაიონია. სატყეო მეურნეობის დირექტორები კი თითქმის ყოველ წელს იცვლებიან...

ამ ორი წლის წინათ, სატყეო მეურნეობას თავკაცად თენგიზ დიდებულიძე მოევლინა. პირველ დღეებში, თათბირებზე თუ კერძო საუბრებში დიდ დაპირებებს იძლეოდა და წითელწყაროელებსაც იმედი ჰქონდათ, ეს კაცი უეჭველად აგვაშენებსო.

საქმე კი სულ სხვა გზით წარიმართა. სატყეო მეურნეობის დირექტორმა თ. დიდებულიძემ თავისი სამუშაო ზონა რომ დაათვალიერა, უმალ აზრად გაუელვა, ამ ერბოსავით მიწას ვინ გააცდენს, აქ ისეთი საზამთრო მოვა, კაცი ვერ დასძრავსო.

ერთ დღეს სატყეო მეურნეობის დირექტორის კაბინეტში თავი მოიყარეს დაცვის ინჟინერმა ვ. მაზიაშვილმა, მეურნეობის დირექტორმა თ. დიდებულიძემ, სხვებმა. ისინი კარგახანს ერთ საქმეზე ბჭობდნენ, ბოლოს გადაწყვიტეს: ალაზნის პირას, სოფელ საბათლოს ახლოს ხეები ამოეძირკვათ და ბაღი გაეშენებინათ. ცხადია, ამით სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დავალებასაც შეასრულებდნენ და კაი ფულსაც გააკეთებდნენ.

მაგრამ ჯერ საჭირო იყო დაბერებული და გამხმარი ხის ბუჩქების ამოსაძირკვად საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისაგან ნებართვა მიეღოთ. ასეც მოხდა. და კაცმა რომ თქვას, ზოგიერთი ისეთი ხეც წააქციეს, რატომ ას წელს კიდევ არ გაძლებდა! ასე თუ ისე, 20 ჰექტარამდე ტყე მოისპო.

იყო თუ არა მოსაჭრელი ეს ხეები, ამაზე სპეციალისტების დასკვნა არ არსებობს. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის კომიტეტის ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა ამას რატომღაც ყურადღება არ მიაქციეს. ტყე გაიჩეხა და საზამთრო დაითესა.

ასე გაჩნდა სატყეო მეურნეობაში ახალი მეურნეობა, ე. წ. „საზამთროს მეურნეობა". მალე მან ბევრი საქმოსანი თუ უსაქმური შემოიერთა. და განა მარტო ამ რაიონებიდან? — სიღნაღიდან, გურჯაანიდან... მძლავრმა ტრაქტორებმა, რომლებმაც ამ მეურნეობას შეფობა გაუწია, რამდენიმე დღეში 15 ჰექტარი მიწა ამოაბრუნა და პირველი დასცა. ალბათ იკითხავთ — ხეები? ხეები რა იქნა? ისინი ბულდოზერებით ალაზანში ჩაყარეს. აბა, ვის მისცემდნენ, ქვეყანას ხომ არ შეჭყრიდნენ!

დიახ, იყო ხე, ჭალა, გაჩნდა ბაღი — საზამთრო.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესოა, როგორ შეასრულეს ეს სამუშაო, როცა სატყეო მეურნეობას არც თესლი გააჩნდა, არც ტექნიკა, არც მუშა-ხელი?

აქაც მონახეს გზა. ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში დირექტორის მეგობარი და მესაიდუმლე ვ. მაზიაშვილი გაგზავნეს. იქ მან მონახა მებაღეები: ბადრი გრიგოლის-ძე ნანიტაშვილი, გოგია გიორგის-ძე ხუციშვილი, ნოდარ სიმონის-ძე ბურჭულაძე, გივი ალექსის-ძე ბაცაშვილი, ბესო ივანეს-ძე ჭიკაიძე, გურამ ნიკოლოზის-ძე ხუბულაშვილი, გურამ იოსების-ძე სარიშვილი, ომარ ალექსის-ძე მნათობიშვილი, ტარიელ ივანეს-ძე მელიქიშვილი, გურამ დავითის-ძე ბუნტური, როლანდ ივანეს-ძე ჭენქაძე, ოთარ არჩილის-ძე ითურიძე, ალიკა არშაკის-ძე ოგანიანი და გაურიგდა მათ. ზოგი მეურნეობაში მუშად გააფორმეს, ყოველ თვეს 85-110 მანეთამდე ფულსაც უწერდნენ. ასე გადიოდა დღეები. მოიყვანეს მოსავალი. როცა საზამთროს მოსავლის აღება დამთავრდა, საბუღალტრო დავთარში ასეთი ცნობა ჩააკრეს: ჰექტარზე 44 ცენტნერი მოსავალი!

გასაკვირია! ნასვენ მიწაზე, ისიც სარწყავში, ჰექტარზე 44 ცენტნერი საზამთრო?! ეს მაშინ, როდესაც იქვე, გვერდზე ნაკვეთში საბათლოს კოლმეურნეობამ 217 ცენტნერი მიიღო. მართლაც, საკვირველია! საზამთროს ლაპარაკი არ შეუძლია, თორემ მეურნეობის მესვეურებზე რამდენ რამეს იტყოდა.

მაინც რას? — იკითხავს მკითხველი.

სატყეო მეურნეობაში ძირითადი საქმიანობა ჩაშლილია. გასულ წელს ნერგების გახარების გეგმა 97 პროცენტით შესრულდა, მისი დამუშავებისა — 58 პროცენტით, სარგავი მასალის დამზადებისა — 45 პროცენტით. წლეულს უფრო ცუდი მდგომარეობაა. გაზაფხულზე, გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარიდან, ტყე მხოლოდ 2,6 ჰექტარი გაშენდა, ტყის კულტურების დამუშავების გეგმა 38 პროცენტით შესრულდა, სანერგისა—75 პროცენტით. მცენარეები ყველგან ბალახით არის დაფარული. მდგომარეობა ტექნიკის მოვლისა და გამოყენების მხრივაც კარგს ვერაფერს გეტყვით. ათი ტრაქტორიდან ხუთი არ მუშაობს, ასევეა ავტომანქანები.

მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები დაინტერესებოდნენ წითელწყაროს სატყეო მეურნეობის ასეთი „ნოვატორული" ღონისძიებებით. მართლაც, დაინტერესდნენ... მხარი დაუჭირეს ამ სარფიან მეურნეობას და თვალი დახუჭეს აღმაშფოთებელ ფაქტებზე.

ეს იყო შარშან...

დაიწყო მეათე ხუთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის პირველი წელი. იფიქრებთ, ახლა მაინც ხელს აიღებდნენ დანაშაულზე, საზამთროს ადგილას ტყეს გააშენებდნენ, ასე თუ ისე დანაშაულის კვალს დაფარავდნენ, მაგრამ არა, ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო... 3,5 ჰექტარი ტყე კიდევ ამოძირკვეს, რა თქმა უნდა, ისევ ახალი ტყის გაშენების მიზნით, მაგრამ საზამთრომ დასძლია.

ვის, ვის და, საზამთროს ეს „ოპერაცია" ისევ დირექტორის მესაიდუმლეს ვ. მაზიაშვილს დაეკისრა.

ვინ არის ვ. მაზიაშვილი? — ეს ის პიროვნებაა, რომელსაც ასეთ საქმეებში რომ იტყვიან, „ჭკუა აქვს მოჭრილი", ნასამართლევიც არის და სკკპ რიგებიდან გარიცხულიც.

„საზამთროს ოპერაციას", რომელსაც რამდენიმე წლის სტაჟი აქვს, წლეულს ფარდა აეხადა. პარტიის წითელწყაროს რაიკომმა წინასწარ გულდასმით შესწავლის შემდეგ საკითხი განიხილა რაიკომის ბიუროზე.

რაიკომის ბიუროს დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ საზამთროს ეგრეთწოდებული „დამხმარე მეურნეობა", რომელიც 15,09 ჰექტარს მოიცავს, სატყეო მეურნეობის დირექტორმა თ. დიდებულიძემ და მის მიერ ამ მეურნეობის გამგედ დანიშნულმა, ადრე საზამთროს სპეკულაციისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხულმა და ნასამართლევმა, ამჟამად სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინერმა ვ. მაზიაშვილმა კახეთის სხვადასხვა რაიონებიდან მოსულ ისეთ პირთა სარბიელად აქციეს, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ შრომას და საზამთროს მოყვანა-სპეკულაციას მისდევენ.

დირექტორის ბრძანებით 6 კაცი ტყის კულტურების მუშებად არიან მიღებული, იქ კი არასოდეს უმუშავიათ, 4 კაცი მეზობელი რაიონებიდან არის მოსული; გარდა ამისა, შემოწმებისას საზამთროს დამხმარე მეურნეობაში მუშაობდა მეურნეობისათვის სრულიად გარეშე 14 პირი. მოსულნი სხვადასხვა რაიონებიდან, ძირითადად გურჯაანიდან.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიურომ სატყეო მეურნეობის დირექტორი თ. დიდებულიძე გაათავისუფლა სამუშაოდან, ხოლო ტყის კულტურების დაცვის ინჟინერი ვ. მაზიაშვილი — საზამთროს დამხმარე მეურნეობის გამგის მოვალეობისაგან.

როგორც ხედავთ, გადაწყვეტილება არც თუ ისე მკაცრია, მაგრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი ო. გამცემლიძე ვერც ამას შეურიგდა, საქმოსნებს ბიუროზე თავგამოდებით იცავდა, რის გამოც ბიუროს შემადგენლობა განცვიფრებული დარჩა.

განა მოსათმენია, რომ ყველა ეს დანაშაული წლების მანძილზე ხდებოდა, ბევრმა იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ენას იმუნჯებდა და თვალს ხუჭავდა?!

ვფიქრობთ, პარტიის რაიკომის ეს პრინციპული ხაზი შემდგომშიც გაგრძელდება.

შ. ჯოჯუა,
ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

# ბრძანება
## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

*1976 წლის 8 აგვისტო* *№ 170* *ქ. მოსკოვი*

**ამხანაგო** არმიისა და ფლოტის მეომრებო!
ამხანაგო სამხედრო მშენებლებო!

დღეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ მშენებლის დღეს. ეს დღესასწაული დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შედეგია.

ახალი მიღწევებით ეგებებიან თავიანთ დღესასწაულს სამხედრო მშენებლები. მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და დაძაბულად შრომობენ, რათა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებები, რომ აშენონ სწრაფად, მომჭირნეობით და თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

სამხედრო-სამშენებლო ნაწილების პირადმა შემადგენლობამ წარმატებით შეასრულა კაპიტალური მშენებლობის 1976 წლის პირველი ნახევრის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ამხანაგო სამხედრო მშენებლებო, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამშენებლო, საპროექტო ორგანიზაციების და სამშენებლო მრეწველობის საწარმოთა მუშებო და მოსამსახურეებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

მოგესალმებით და გილოცავთ დღესასწაულს — მშენებლის დღეს!

გისურვებთ ახალ წარმატებებს სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში.

ბეჯითად სრულყავით თქვენი პოლიტიკური ცოდნა და პროფესიული ოსტატობა, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ მხედრული და შრომითი დისციპლინა, აქტიურად იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.**

# მშენებლის დღის აღსანიშნავად

თბილისში გაიმართა მშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. თავისი დღესასწაულის აღსანიშნავად შეიკრიბნენ მშენებელთა, მემონტაჟეთა, მექანიზატორთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები.

კრება გახსნა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. გ. ცხოვრებაშვილმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება რესპუბლიკის მშენებელთა მუშაობისა და მათი ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ნ. ა. მეძმარიაშვილმა.

კრებაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. დ. გაბუნია.

(საქინფორმი).

# თაოსნობამ ფრთა შეისხა
## სოფელ რუხის სკოლადამთავრებულთა მისაბაძი მაგალითი

**საქართველოს** ახალგაზრდებს შორის ფართო გამოხმაურება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებამ კოსტრომის ოლქის საშუალო სკოლადამთავრებულების შეკრების მონაწილეებისადმი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იმუშაონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

კოსტრომელთა თაოსნობა პირველებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლადამთავრებულებმა აიტაცეს. აქ გაიმართა კოლმეურნეთა საერთო კრება, რომელზეც განიხილეს სკოლადამთავრებულთა განცხადებები. წლეულს სოფლის საშუალო სკოლა ორმოცმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა დაამთავრა და ყველამ გამოთქვა სოფელში მუშაობის სურვილი: ორმოცი განცხადება სხვადასხვა ხელით, სხვადასხვა ფერის მელნით არის დაწერილი, მაგრამ აზრი კი ერთი აქვთ: „მინდა ჩემი წვლილი შევიტანო სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მეათე ხუთწლედის გეგმის შესრულებაში. წლეულს დავამთავრე საშუალო სკოლა და გთხოვთ მიმიღოთ კოლმეურნეობაში".

ზუგდიდის რაიონის სოფელი რუხი ცნობილია თავისი შრომითი ტრადიციებით. თანასოფლელებს ახლაც ახსოვთ, თუ როგორ გამოვიდა მოსკოვში სტახანოველთა შეკრებაზე მათი თანასოფლელი თექვსმეტი წლის ჩაის მკრეფავი ლუბა შენგელია.

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა და ახლა საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანთა ესტაფეტა ახალგაზრდებმა მიიღეს. ორმოცი ქალიშვილი და ჭაბუკი გახდა მშობლიური კოლმეურნეობა „საქართველოს" წევრი.

დღეს „სოფლის მეურნეობას მარტო მუშახელი კი არ სჭირდება, არამედ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებიც, რომლებიც კარგად ფლობენ თანამედროვე ტექნიკას, საქმის ნამდვილი ოსტატები არიან", — კოსტრომის ოლქის საშუალო სკოლადამთავრებულების შეკრების მონაწილეებისადმი ლ. ი. ბრეჟნევის წერილის ეს სიტყვები იმ მრავალი ქალიშვილისა და ჭაბუკის ცხოვრების პროგრამად იქცა, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი ბედი დაუკავშირონ კეთილშობილურ საქმეს — სოფლის მეურნეობაში შრომას. სადაც უნდა იმუშაონ, ფერმაში, ტრაქტორზე თუ კომბაინზე, მინდორსა თუ პლანტაციაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების რომელიც გნებავთ უბანზე, მათ გადაწყვიტეს აიმაღლონ პროფესიული დონე, აითვისონ სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, გახდნენ მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონები.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წლეულს სკოლადამთავრებულთა თითქმის ოცი ათასიანი რაზმი ჩაებმება.

(საქინფორმი).

პორტუგალია

# დაიწყო პროგრამის განხილვა

ლისაბონი, 6 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი გ. კოვალიოვი გვატყობინებს: რესპუბლიკის კრებაში დაიწყო კამათი, მთავრობის პროგრამის თაობაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მარიუ სოარეშმა წარმოადგინა.

დისკუსიის დროს პირველი გამოვიდა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ალვარო კუნიალი, რომელმაც ჩამოაყალიბა პორტუგალიის კომპარტიის პოზიცია. პორტუგალიელ კომუნისტებს, განაცხადა მან, მიაჩნიათ, რომ სოციალისტური პარტიის მთავრობის შემადგენლობა და პროგრამა არ შეესაბამებიან მიმდინარე მომენტის მოთხოვნებს.

სოციალისტური პარტიის მთავრობა უმცირესობის მთავრობაა და მას არ უწევენ საკმარის მხარდაჭერას, რომელიც უზრუნველყოფს იმ კურსის განხორციელებას, რომელსაც პორტუგალიელი ხალხის უმრავლესობა იწონებს.

ა. კუნიალმა განაცხადა, რომ მთავრობის პოლიტიკის კურსის მიმართულება ვერ ჭრის ამჟამად პორტუგალიის წინაშე მდგომ პრობლემებს.

მაგრამ პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ კომპარტია არ აპირებს სისტემატურად გაილაშქროს სოციალისტური პარტიის მთავრობის წინააღმდეგ. მან მთავრობის პროგრამის პოზიტიური მომენტი უწოდა პრემიერ-მინისტრის განცხადებას პორტუგალიელი ხალხის იმ რევოლუციური მონაპოვრების შეუქცევადი ხასიათის თაობაზე, როგორიცაა ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა და მუშათა კონტროლი საწარმოებში. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ მთავრობა არ იძლევა რევოლუციის ამ მონაპოვრების დაცვის საკმარის გარანტიებს.

# მსოფლიოს ხალხები

## ხუნტის ტერორის წინააღმდეგ

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს ჩილეს სამხედრო ფაშისტური ხუნტის რეპრესიების შეწყვეტას, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა პატრიოტების პინოჩეტის საპყრობილეებიდან განთავისუფლებას.

რომი. აქ გამოქვეყნდა ჩილეს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გლადის მარინის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კურტ ვალდჰაიმისადმი, რომელშიც სთხოვს დაეხმაროს ბევრი ჩილელი პოლიტიკური პატიმრის ბედის გამორკვევაში. წლეულს მაისის დამდეგს, ნათქვამია გლადის მარინის წერილში, დააპატიმრეს ჩემი ქმარი, ინჟინერი ხორხე მუნიოსი. ხუნტის საიდუმლო პოლიციამ დააპატიმრა აგრეთვე კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრები მარიო სამორანო, ვიქტორ დიასი და სხვები. დაპატიმრებულთ მხეცურად სცემეს და გაგზავნეს წამების სახლში — „ვილია გრიმალდიში", რის შემდეგ მათი ამბავი არავინ იცის.

გლადის მარინი აღნიშნავს, რომ ჩილეში ასობით წამების სახლი და საკონცენტრაციო ბანაკია და ერთადერთი „კანონი", რომელსაც პინოჩეტი ცნობს, არის ტერორი, დევნა და ადამიანის უფლებათა დარღვევა, და მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუყოვნებლივ განახორციელოს ღონისძიებები ჩილელ პატრიოტთა გადასარჩენად.

მეხიკო. აქ მიღებული ცნობებით, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილის ვიქტორ დიასის ცოლმა სელენისა კარო დე დიასმა ჩილეს ხელისუფლებს მოსთხოვა, რომ შეატყობინონ სანტიაგოში წლეულს მაისში დაპატიმრებული თავისი ქმრის ადგილსამყოფელი. ჩემი ქმარი, წერს სელენისა კარო დე დიასი, მუშათა მოძრაობის ცნობილი აქტივისტია. თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა მან 1943 წელს დაიწყო „დესპრესიადის" შახტის პროფკავშირში. 1966 წელს იგი ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის ეროვნულ მდივნად აირჩიეს. ყველა ინსტანციას მივმართე იმისათვის, რომ გამეგო თუ რა ბედი ეწია ჩემს ქმარს, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა.

პრაღა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოითხოვა, რომ გაძლიერდეს საერთაშორისო სოლიდარობა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩილელი ხალხის ბრძოლასთან. აქ გავრცელებულ განცხადებაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს იმოქმედონ სამხედრო-ფაშისტური ხუნტის იზოლაციისა და ბოიკოტისათვის.

მთელი პროგრესული საზოგადოება, ნათქვამია განცხადებაში, უნდა იღვწოდეს ჩილეს პოლიტიკური პატიმრების უწინარეს ყოვლისა, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის განთავისუფლებისათვის, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ჩილელ მშრომელთა გმირული ბრძოლის სიმბოლო გახდა. (საქდესი).

ალექსანდრე ზუგაშვილი

## მხარი—მხარს!

ცეცხლი პატიოსნების,
ცეცხლი შრომის, სიმართლის,
ცეცხლი კაცის ოცნების ახდენის და სინათლის,
წინსვლის ცეცხლი გიზგიზებს, საქართველოს ედება,
მას მივუძღვნათ, მგოსნებო, ჩვენი შემოქმედება!

ფრთას შლის საქართველოში განახლების გრიგალი,
მუშავ, ოფლად გაღვრილო, იყავ შეურიგალი,
შენ თუ რკინის მარჯვენით შეუტიე სიძნელეს,
ამ ცას ვინ დაგვითალხავს,
ამ მზეს ვინ დაგვიბნელებს!

აბა მივცეთ მხარი მხარს,
აბა მივცეთ მხარი მხარს,
აბა მივცეთ მხარი მხარს (ვით იტყოდა მგოსანი),
მამულს ახალ მზით გამთბარს,
მამულს, ახალ მზით დამტკბარს —
ჩვენი გული,
გონება,
შრომა პატიოსანი!

ავაჩქეფოთ არხები,
ავამწვანოთ ველები,
გადმოვკიდოთ დროშები, როგორც ცისარტყელები,
გადმოვკიდოთ დროშები სიწმინდის და ნამუსის,
ზეიმია სიმართლის ჩვენს საყვარელ მამულში!

აბა დავდგეთ ყველანი, სად სიახლის კვალია,
ვით იტყოდა მგოსანი: სადაც ქარიშხალია!
სადაც ქარიშხალია, აბა დავდგეთ ყველანი,
დეზი ვკარით, მიფრინავს გამარჯვების მერანი!

თვალს ნურავინ იბრმავებს, ყურს ნუ იხშობს ნურავინ!
მიჭქრის, კლდე-ღრეს მიაპობს, ყალყზე დგება ქურანი,
გრძნობა ნაპირს მოადგა, გულში ვერ დამეტია,
განდგომა და დუმილი დღეს მტრობაზე მეტია!

ცეცხლი პატიოსნების,
ცეცხლი შრომის, სიმართლის,
ცეცხლი კაცის ოცნების ახდენის და სინათლის,
წინსვლის ცეცხლი გიზგიზებს, საქართველოს ედება,
მას მივუძღვნათ, მგოსნებო, ჩვენი შემოქმედება!

საქდესი

## ყოველი მხრიდან

● ჰავანა. კამაგუეის პროვინციაში ამუშავდა ჩქაროსნული ეროვნული რკინიგზის მორიგი უბანი. ეს მაგისტრალი, რომლის რეკონსტრუქციის პროექტი საბჭოთა სპეციალისტებმა შეასრულეს, ერთმანეთთან დააკავშირებს კუბის უდიდეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებს.

● ტოკიო. იაპონიის სამმა უდიდესმა კომპანიამ, რომლებიც აწარმოებენ ხინთეზურ სარეცხ საშუალებებს, 7 პროცენტით გაზარდეს თავიანთი პროდუქცია.

● ბონი. ჰამბურგში გაიმართა მანის კონცერნის მანქანათსაშენებელ ქარხნებში მომუშავე მშრომელთა საპროტესტო მარში. დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს კონცერნის ადმინისტრაციის იმ გეგმების გაუქმება, რომლებიც ითვალისწინებენ წარმოების უბადლებული „რაციონალიზაციის" მიზნით 800 მუშის სამუშაოდან დათხოვნას, რასაც მეწარმენი ეკონომიური კრიზისის პირობებში მიმართავენ ხოლმე.

● მადრიდი. როგორც ეფეს სააგენტო იტყობინება, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ესპანეთს მისცა ერთი მილიარდი დოლარის კრედიტი ესპანეთის საგარეო ვალი წლის დამლევისათვის 11.870 მილიონ დოლარს შეადგენს.

● ნიუ-იორკი. კრიზისული მოვლენები ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში, რომლებიც კვლავ გრძელდება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ბევრი შტატის მოსახლეობის მდგომარეობაზე. მაგალითად, ალაბამაში ყოველწლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ათასი დოლარით ნაკლებია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში. ალაბამელთა ოჯახების 30 პროცენტის ცხოვრების დონე შეერთებულ შტატებში ოფიციალურად დადგენილი სიღარიბის დონეზე დაბალია.

● დელი. კალკუტაში, დასავლეთ ბენგალიის შტატის დედაქალაქში გაიხსნა ფოტოსურათებისა და წიგნების გამოფენა, რომლებიც ასახავენ ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა ხალხების მრავალმხრივ თანამშრომლობასა და მეგობრულ ურთიერთობას. გამოფენა მიეძღვნა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-5 წლისთავს.

● ტუნისი. ტუნისის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც აქ გაიმართა, მოიწონეს ეროვნული კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. 1977-1981 წლებში ტუნისის ეკონომიკის აღმავლობის ამოცანების შესაბამისად ამ მიზნისათვის გამოიყოფა 46 მილიონი ტუნისური დინარი, ორჯერ მეტი, ვიდრე ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების წინა, 1973-1976 წლების, გეგმა ითვალისწინებდა.

● პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათსაშენებელი გაერთიანება „შკოდას" პროდუქცია ცნობილია შორს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მარტო წლეულს გაერთიანების კოლექტივი საზღვარგარეთელი შეკვეთებისათვის გამოუშვებს 3 მილიარდი კრონის და მეტ სხვადასხვა მანქანასა და მოწყობილობას. სოციალისტური ქვეყნებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მოცულობა გასულ წელთან შედარებით 13 პროცენტით გაიზრდება. „შკოდის" ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია საგლინავი მოწყობილობა საბჭოთა კავშირის საწარმოებისათვის.

მოკლედ

იტალია

## კამათი პარლამენტში

რომი, 6 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი ვ. მალიშევი გვატყობინებს: იტალიის პარლამენტის სენატი შეუდგა ქვეყნის ახალი მთავრობის პროგრამის განხილვას, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ანდრეოტიმ წარმოადგინა.

კამათში გამოსვლისას იტალიის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ სენატში ე. პერნამ გააკრიტიკა პროგრამის ცალკეული დებულებანი, რომელსაც მან მთლიანად „უფერული" უწოდა. ამასთან ე. პერნამ აღნიშნა, რომ მთავრობამ თავის პროგრამაში შეიტანა იტალიის კომპარტიის მიერ წამოყენებული მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყნის ეკონომიური პოლიტიკის შემუშავებაში დემოკრატიული ძალებისა და პროფკავშირების უფრო ფართო მონაწილეობას.

კომუნისტმა სენატორმა დაადასტურა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავი შეიკავონ ახალი მთავრობის ნდობის საკითხზე მომავალი კენჭისყრის დროს.

იტალიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ პ. ნენიმ, რომელიც სოციალისტური პარტიის სახელით გამოვიდა, დაადასტურა, რომ ნდობის საკითხის კენჭისყრისას სოციალისტები ც ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებენ.

## კენჭისყრის შედეგები

რომი, 7 აგვისტო. (საქდესი). იტალიის ახალმა მთავრობამ რომელიც შექმნა ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ, გუშინ სენატში მიიღო ნდობის ვოტუმი. მთავრობისადმი ნდობის ვოტუმს ხმა მისცა 136 სენატორმა, წინააღმდეგი იყო 17, თავი შეიკავა 69-მ. 100 სენატორი კენჭისყრას არ ესწრებოდა.

ერთპარტიულ კაბინეტს, რომელშიც მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები შედიან, მხარი დაუჭირეს მხოლოდ თვით ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრმა სენატორებმა. კომუნისტური, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და ლიბერალური პარტიების წარმომადგენლებმა კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს. ამან საშუალება მისცა ახალ მთავრობას შეეგროვებინა ხმების საჭირო უმრავლესობა.

დეპუტატთა პალატაში კამათი მთავრობის პროგრამისა და ახალი კაბინეტისადმი ნდობის საკითხზე კენჭისყრის შესახებ გაიმართება მომავალ კვირაში.

იაპონია

## მშვიდობის ზარი

ტოკიო, 6 აგვისტო. (საქდესი) დღეს დილას რვა საათსა და 15 წუთზე ჰიროსიმაში ჩამოჰკრა „მშვიდობის ზარმა". 31 წლის წინათ ამ დროს აქ აფეთქდა ამერიკული ატომური ბომბი. ჰიროსიმის მშვიდობის პარკში შეკრებილმა 40 ათასმა კაცმა წუთიერი დუმილით პატივი სცა ატომური აფეთქების შედეგად დაღუპული ქალაქის ორასი ათასზე მეტი მცხოვრების ხსოვნას.

ყველას მოუწოდებთ, რომ არასოდეს არ განმეორდეს ჰიროსიმის ტრაგედია, ნათქვამია მშვიდობის დეკლარაციაში, რომელიც წაიკითხეს საზეიმო ცერემონიაზე.

პერუ

## მონოპოლიათა „ტროას ცხენი"

ლიმა, 6 აგვისტო. (საქდესის კორ.). ჩილეს ხუნტამ კვლავ ცხადყო, რომ მრავალეროვანი მონოპოლიების აგენტის როლს ასრულებს სუბრეგიონალურ ეკონომიურ გაერთიანებაში — ანდის პაქტში.

„კარტახენის შეთანხმების" კომისიის — ანდის პაქტის უმაღლესი ორგანოს აქ მიმდინარე თათბირზე ხუნტის წარმომადგენელმა უარი თქვა ხელი მოეწერა „კარტახენის შეთანხმების" დამატებით ოქმზე, რომელიც ლათინური ამერიკის ეკონომიური ინტეგრაციის გააქტიურების საშუალებას იძლევა. ამ გაერთიანების დანარჩენი წევრი ქვეყნების — ბოლივიის, ვენესუელის, კოლუმბიის, პერუსა და ეკვადორის წარმომადგენლებმა ოქმს ხელი მოაწერეს.

ხუნტის ეკონომიკის მინისტრმა სერხიო დე კასტრომ თავისი უარი იმით დაასაბუთა, რომ პაქტის დანარჩენ წევრებს „არ სურთ" დააკმაყოფილონ ჩილეს რეჟიმის მოთხოვნა „კარტახენის შეთანხმების" 24-ე მუხლის გაუქმების შესახებ. ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ თანდათანობით სახელმწიფოს კონტროლში გადავიდნენ უცხოეთის კომპანიები, რომლებიც პაქტის ქვეყნებში მოქმედებენ, ნგრეთვე შეიზღუდოს მოგება, რომლის გადარიცხვა კომპანიებს საზღვარგარეთ შეუძლიათ.

დამატებითი ოქმის დებულების შესაბამისად, თუ ხუნტა 60 დღის განმავლობაში ხელს არ მოაწერს მას, პაქტის დანარჩენი წევრები დაამტკიცებენ ამ ოქმს, და მაშინ „კარტახენის შეთანხმების" წესდების შესაბამისად ჩილეს გამორიცხავენ ანდის პაქტიდან.

აშშ

## იმედი გაუცრუეს

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა მიიღო საგადასახადო რეფორმის კანონპროექტი. სენატორებმა კვლავ გაუცრუეს იმედი მილიონობით ამერიკელს, რომლებიც მოითხოვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საგადასახადო სტრუქტურის ძირეულ შეცვლას, და ხმის უმრავლესობით — 49 მომხრე, 22 წინააღმდეგი — ხმა მისცეს კანონპროექტის ისეთ ვარიანტს, რომელიც ადულაბებს არსებული საგადასახადო სისტემის საფუძვლებს, რომელიც აგებულია ისეთნაირად, რომ გადასახადების ძირითადი ტვირთი აწევება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ამერიკელებს.

ათასნაირი გადასახადი „შთანთქავს" „საშუალო" ამერიკელის შემოსავლის მესამედს. ამასთან გადასახადის ტვირთი წლითიწლობით იზრდება. მაგალითად, ბოლო 6 წელიწადში გადასახადები 70 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

ამავე დროს მრავალრიცხოვანი ხვრელების საშუალებით შეძლებული ამერიკელები ან სასაცილოდ უმნიშვნელო გადასახადებს იხდიან ხაზინაში, ან საერთოდ თავს არიდებენ მასთან ანგარიშსწორებას.

ინგლისი

## აფრიკის ხარჯზე

ლონდონი, 6 აგვისტო. (საქდესი). ირანში მიმავალი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი ცოტა ხნით ჩამოხდა ლონდონში, სადაც შეხვდა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჯ. კალაგენს.

ორივე მხარის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მოლაპარაკების მთავარი თემა იყო აფრიკის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ უარი თქვეს გაემხილათ საუბრის დეტალები. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ საქმე ეხებოდა ინგლის-ამერიკის ახალ „ინიციატივას" როდეზიის მიმართ, რომლის არსი ის არის, რომ აფრიკელი მოსახლეობისადმი უმნიშვნელო შეღავათების გზით დატოვონ იქ რამდენადმე შეცვლილი ფორმის კოლონიური რეჟიმი დასავლეთის სახელმწიფოების ევიდით.

როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა იმსჯელეს აგრეთვე მდგომარეობაზე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომელიც აფრიკის სამხრეთში ინგლისურ-ამერიკული პოლიტიკის დასაყრდენია.

უფრო მეტიც, როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" წერს, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი „ახლა განიხილავს იმ შესაძლებლობას, რომ ევროპაში ან აფრიკაში მოეწყოს ახალი შეხვედრა სამხრეთ აფრიკის პრემიერ-მინისტრ ფორსტერთან". ამ მიზნით, როგორც იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აფრიკის საქმეებში უ. შაუელი პრეტორიაში ჩავა.

გფრ

## ხელს აფარებენ ნეონაცისტებს

ბონი, 7 აგვისტო. (საქდესის კორ.). დასავლეთ გერმანიის სასამართლო ორგანოები აშკარად ხელს აფარებენ ნეოფაშისტურ დაჯგუფებათა საქმიანობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ერთ-ერთ თავის ანგარიშში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა აღენიშნა, რომ დასავლეთ გერმანიაში „არასოდეს არ ყოფილა ნაციონალ-სოციალიზმის ესოდენ აშკარა ქება-დიდება გამოსვლებსა და ბროშურებში, სხვადასხვა აქციათა დროს... როგორც ეს ახლა ხდება".

ოფიციალური მონაცემებით, შარშან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებდა 148 ნეონაცისტური და სხვა მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაცია — 24 პროცენტით მეტი, ვიდრე 1974 წელს.

განსაკუთრებით აქტიური საქმიანობა გაშალა პროფაშისტურმა ორგანიზაციამ, რომელსაც მეთაურობს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყოფილი წევრი, შვარცენბორნელი (ჰესენის მხარე) ადვოკატი მ. რედერი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები, აღნიშნავს ჟურნალი „შტერნი", „უხალისოდ ჰკიდებენ ხელს მემარჯვენე-ექსტრემისტთა საქმეებს", მიუხედავად იმისა, რომ „ნეონაცისტური პროპაგანდა სულ უფრო აგრესიული ხდება".

მეგობრობა გზად და ხიდად

# შრომისა და მეგობრობის ბანაკი

## ინტერნაციონალური სტუდენტური რაზმი „კოლხეთი-76"



ქობულეთიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, მწვანით დაქარგულ გორაკზე აღმართულია სოფელ ხუცუბნის საშუალო სკოლის ქათქათა კორპუსები. შენობის ფასადს ამშვენებს წარწერები ქართულ, რუსულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე: „ბეთილი იყოს თქვენი მობრძანება!". აი აქ, ამ თვალწარმტაც ადგილას ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ინტერნაციონალური სტუდენტური რაზმის „კოლხეთი-76"-ის წევრები.

ბანაკს შუადღისას ვეწვიეთ. რაზმის წევრებს სადილობა დაემთავრებინათ და სამშენებლო ობიექტებზე წასასვლელად ემზადებოდნენ, რაზმის მეთაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ვია არსენიშვილი ახალგაზრდებთან ტრიალებდა და ბუნებრივია, პირველი კითხვითაც მას მივმართეთ:

— რამდენი წევრია გაერთიანებული ინტერნაციონალურ რაზმში?

— რაზმში 50 ქალიშვილი და ჭაბუკი ირიცხება. 14 გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იენის უნივერსიტეტიდან არის, 15 ჩეხოსლოვაკიის ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტია. დანარჩენი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან არიან. სულ 4 ინტერნაციონალური ბრიგადა ჩამოვაყალიბეთ. ჩვენს რაზმს გეგმით 21.200 მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინა. გეგმა, მართალია, დიდი იყო, მაგრამ დღეისათვის — 6 აგვისტოსათვის გადაჭარბებით — 22 ათასი მანეთის სამუშაოები შევასრულეთ. ასე, რომ შრომითი სემესტრი კარგი მაჩვენებლებით დავამთავრეთ. მაგრამ ჩვენი რაზმისათვის მთავარი გეგმის შესრულება როდია. უპირველესი საქმეა სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოება — დამეგობრება, დღეს ვამთავრებთ შრომით საქმიანობას. შემდეგ გერმანელი და ჩეხი სტუდენტები ჩვენთან ერთად გაეცნობიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდებიან ქართველ თანატოლებს.

ავასხობაში ავტომანქანებიც მოვიდნენ და ყველანი სამშენებლო ობიექტზე გაემგზავრნენ. ქართველ, რუს, გერმანელ და ჩეხ სტუდენტებს უკვე მოუსწრიათ საერთო ენის გამონახვა. ჩეხებმა კარგად იციან რუსული. ისინი ხომ სკოლაში სწავლობენ დიდი ლენინის ენას. გერმანელებს ცოტათი უძნელდებათ, მაგრამ მეგობრებთან საუბარს მაინც ახერხებენ. ქართველებიც „ალაპარაკებულან" გერმანულად და ჩეხურად.

მდინარე კინტრიშის მარცხენა ნაპირას, ტრიალ მინდორზე გუგუნებენ ბულდოზერები, ტრაქტორები, თვითმცლელებს მოაქვთ სამშენებლო მასალები. აქ 12 ჰექტარზე შენდება სასათბურე მეურნეობა, რომლის მშენებლობაშიც თავიანთი წვლილი შეიტანეს ინტერნაციონალური რაზმის წევრებმა. მაგრამ მარტო აქ, ამ ობიექტზე როდი მუშაობდნენ ისინი. მათი ერთი ნაწილი სოფლის ცენტრში საცხოვრებელ სახლს აგებდა. ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ ქართველი თემურ გელაშვილი და ჩეხი ირჟი კუბატი, რუსი ანდრეი სიდორინი და გერმანელი ინგო დუზე და მრავალი სხვა.

— რაზმის წევრებს, — გვითხრა გ. არსენიშვილმა, — არასოდეს დაავიწყდებათ აჭარაში გატარებული დღეები. მათ ხომ აქ ახალი მეგობრები შეიძინეს! ყოველი დღე ღირსსახსოვარია. ჩამოსვლის პირველ დღესვე მოვაწყვეთ მიტინგი „ახალგაზრდობა ანტიიმპერიალიზმის პროგრესისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში" აი სწორედ ამ მიტინგზე ჩაეყარა საფუძველი რუსი, გერმანელი, ჩეხი და ქართველი ახალგაზრდების მეგობრობას. ამ ოციოდე დღის განმავლობაში გულთბილი შეხვედრები მოგვიწყვეს ქობულეთის რაიონის მშრომელებმა, პიონერ-მოსწავლეებმა, საინტერესოდ, შინაარსიანად ვატარებდით თავისუფალ დროს, ვაწყობდით მეგობრობის საღამოებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ექსკურსიებს. სპარტაკიადაზე ორჯერ შევხვდით ფრენბურთსა და კალათბურთში ხუცუბნელ ახალგაზრდებს.

23 ივლისი რაზმმა დამკვრელური შრომის დღედ გამოაცხადა და გამომუშავებული თანხა ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში მშენებარე პიონერთა სასახლის ფონდში გადარიცხა. სათქმელი მართლაც ბევრი აქვთ ახალგაზრდებს. აი, ზოგიერთი მათგანის შთაბეჭდილებანი:

ჩეხოსლოვაკიის ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი ირჟი კუბატი:

— შარშან ვორონეჟში ვმუშაობდი ინტერნაციონალურ რაზმში. თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში პირველად ვარ. მეამაყება, რომ ქართველი თანატოლების გვერდით ვმუშაობდი. ამასთან საშუალება გვქონდა გავცნობოდით თქვენს წარმტაც კუთხეს, სტუმართმოყვარე და გულღია ადამიანებს.

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის სტუდენტი ანდრეი სიდორინი:

— მიიწურა ჩვენი შრომითი სემესტრი. იგი ფრიად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო თვითეული ჩვენგანისათვის.

იენის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ანეტ ბერი:

— მოხარული ვარ, რომ ინტერნაციონალურ რაზმში ვმუშაობდი, ისიც აქ, საქართველოში. იენისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის ხომ დიდი ხნის მეგობრობა არსებობს.

6 აგვისტოს, საღამოს, საზეიმო ვითარებაში დაეშვა ინტერნაციონალური სტუდენტური ბანაკის ალამი. ხუცუბნის სასოფლო კლუბში გაიმართა დიდი საღამო. აქ რაზმის წევრები შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს — სოციალისტური შრომის გმირს, სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. წითლიძეს, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშას თ. დოლიძეს, სოფლის მოწინავე ადამიანებს, ახალგაზრდებს.

საღამო გახსნა კომკავშირის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ჯაფარიძემ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ხუცუბნის კოლმეურნეობის კომკავშირული კომიტეტის მდივანი გ. თამაზაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატი შ. გოგინეიშვილი და სხვები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ინტერნაციონალური რაზმის მეთაურმა გ. არსენიშვილმა. მან შეაჯამა შრომითი სემესტრის შედეგები და ახალი წარმატებები უსურვა ახალგაზრდებს სწავლასა და საზოგადოებრივ შრომაში.

ასე დამთავრდა რომანტიკის, შრომისა და მეგობრობის 20 დღე.

ა. დიასამიძე,
გაზეთ „საბჭოთა აჭარის" განყოფილების გამგე.



სურათებზე: ზემოთ — ინტერნაციონალური რაზმის კომისარი თ. გელაშვილი; ქვემოთ — ინტერნაციონალური რაზმის წევრები (მარცხნიდან) ი. შმიდტი (გდრ), ვლ. ტირალე (ჩეხოსლოვაკია), გ. ნიჟარაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ა. გოგუაძე (თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

ვ. მითაიშვილის ფოტო.

აკაკი გელოვანი

## მერვე სასწაულის ჰიმნი

ენგურჰესის მშენებლებს

იქ, სადაც ლაჟვარდებს
თეთნულდი ანათებს,
ძირს ტალღა მღელვარებს,
მაღლა მთა ელვარებს,
ზღვა ყაყაჩოებში
დგას ხარაჩოები,
გასცქერის მომავლის
სხივნათელ მწვერვალებს,—
მომავლის მჭედელთა
გულგაუტეხელთა
მოდის ეს მამაცი, მედგარი
თაობა;
ნათელი ჰფენიათ,
სახეზე სწერიათ
სიცოცხლის სილაღე და
მომხიბლაობა.
ნარ-ეკალს აჰრიან,
საძირკველს ჩაყრიან,
რომ კაცმა შებოჭოს ენგურის
ტალღები.
მთას ცეცხლი ედება,
დგას ნათლის სვეტებად, —
ცას უსწორდებიან კორპუსთა
ფრთები.
დევგმირთა სადარი
სვანი, მთის ხარდალი
ჯიხვის რქას აღმართავს და
დაილოცება;
„ვლოცავ თქვენს გაჩენას,
გულსა და მარჯვენას,
რომ საქმედ აქციეთ მგოსანთა
ოცნება!
რა ტინებს შეებით!
ხართ მემკვიდრეები
ადამის გვარ-ტომის ქეთილის
მყოფელთა—
ჩუქურთმის მჭრელების,
მამულის მცველების,
მცხეთის და იყალთოს
მშენებელ მშრომელთა,
მშრომელთა თაობებს,
ქალაქებს და სოფლებს
ცრემლიც არ ენახოთ. დე,
ამიერიდან!
სიმართლე ღაღადებს,
გულს რწმენით ალანთებს,
განა თუ წარმავლით და
წამიერით!
დიდება მგოსანთა
იმედით გვმოსავდა,
და ყოველ ოცნებას
ხორცშესხმა ამშვენებს.
სხვა სადავიანი
დგას ადამიანი
და მერვე სასწაულს —
ენგურჰესს აშენებს.
დიდება მშრომელთა
მკლავდაუშრომელთა
ძმობის და სიკეთის ხიდებად
იდება!
შუქის მთის მშენებელს,
მთის დამამშვენებელს,
დევგმირთა თაობას — დაფნა
და დიდება!

ოთარ მამფორია

## ზემო ქედის სადღეგრძელო

არსენ კობაიძეს

— პური — ჩვენი არსობისა,
ღვინო — ჩვენი კაცობისა,
ლექსიც — ჩვენი გაცნობისა,
იყოს ძმობის საწინდარი.
ღობე თუკი ქაცვით არი,
უთქვამთ, კაციც — კაცით არი.
ზემო ქედო, ზემო ქედო,
შენ, სიუხვის მატიანევ.
ვინც კი თვალით შემოგხედოს,
მისი ჯიში გატიალდეს.
საქართველოს სასახელოდ
გალეწილო გამრჯე კალოვ.
ბეღელო და საწნახელო,
შვილთა შენთა მარჩენალო.
ვაზით გამაბრუებელო,
ხონჩიანო მასპინძელო,
ქვეყნის დამაპურებელო,
მინდა ლექსით გადღეგრძელო.

არსენ ჩემო, ნეტავ ხნულში
ეს სტრიქონიც გაჟღერდებს.
გვაქვს საერთო სიყვარულში
მგოსანსა და თავმჯდომარეს.
მე თუ ლექსით მზესთან ვგალობ,
შენ ხალხს უძღვნი ხვავ-ბარაქას.
ღმერთმა ალბათ ეს სამყარო
ერთნაირად დაგვანახვა.
აჰა, კვირტიც გამოლურჯდა,
ბეჭდის თვალის შესადარად.
ვენახს სიოც აღარ უნდა,
არც წვიმა და ცის მანანა.
თურმე ვაზის სიბრძნე არი:
„ამ დროს მთვარეც ნუ მაკოცებს,
მწყალობელიც მომიკალი,
მერე ისევ გამიცოცხლე,
როს მირონი ჩამომწვეთავს
კაცის გულის გასახარად". —
სწორედ მაშინ ჩაჭკლავს სტყვა,
ვაზზე ნამღერ გლეხის ნანას.

შენ საწვიმარს გასცქერ ღრუბელს,
გარჯის ოფლით გალუმპული.

არ ვიცოდი, ფრონტზე თურმე
ოთხი ძმა გყავს დაღუპული.

სამასი ბიჭი ქედიდან, —
ომში ჩამქრალი ცისკარი.
მერცხალი ბევრჯერ მოფრინდა,
ვერ ნახა კუბოს ფიცარი.
ღამე გადიდდა ბუნაგში,
დღე კი რა მალე დამოკლდა.
ვერ გადიგრიხეს ულვაში
და სული ისე ამოხდათ.
ამოიგმინებს ანაზდად, —
ქარი ავბედის ნიშანი.
გაუყინია ალაზანს, —
გულს დასაყრელი ქვიშანი,
ლხინში ვარ, სევდამ მომნისლა,
არ ხარობს გული მტკივანი.
მაკრთობს ფრიალი ჩოხისა,
დედოფლის კაბის შრიალი.
ვაჟკაცთა ხსოვნას ვადარე,
მზის ჩასვენება კარავში —
და შავ ღრუბლებში დავლანდე:
დედა და სატრფო სამასი.
გაჰკვესა ცხრა მთის გადაღმა,
ღამის ხმალდმაც გასცურა,
და ცისარტყელის მათრახმა
კალოზე გაიტკაცუნა.

მთებო, მთებო ბუმბერაზნო,
გაითენებთ, დაიღამებთ,
თუ დაზრება ერთი ვაზი,
მეორე ხომ გაიხარებს.
წელს ჩაყრილი ჭირნახული,
გაისად ხომ ამოიყრის,
შორს წასული სიყვარულიც
ერთხელ მაინც გამოივლის.

შირაქიდან ბღავის ფარა,
ცხელი მიწის ძახილს ერთვის.
დაგელოცოს მკლავის ძალა,
ცის ნამი და ხარის ქედი.
მეც ცხვარივით ყორს მივყვები,
ამ დაცვარულ იალაღზე.
ჰოდა, თქვენ ნუ მომიკვდებით,
ისევ გნახავთ მეათასედ.
მე აქ მოვალ, მოვალ ისევ,
შემომენთო ტრფობის ცეცხლი.
მასპინძელო კობაიძევ,
ჰა, შეირგე ჩემი ლექსი.
გაგიმარჯოს, ჯანი მოგცეს,
შენ კი იცი ჩანგის ფასი.
საქართველო დამილოცე
სიყვარულით სავსე თასით.





ვლ. გინზბურგის ფოტო.

# მობურთალსა მოედანი



თბილისის „დინამოს“ ულამაზეს სტადიონს, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ მშენებლები (უფრო სწორად კი „მნგრეველები“) მიადგნენ, ბევრს გული დაწყდა, რადგან ამ კედლებთან არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის ყველაზე საგულისხმო წარსული. გულს იმითაც ინუგეშებდნენ, რომ ყველა შენება უმეტესად ნგრევით იწყება, რომ ამ ქვეყნად არაფერია მუდმივი და დროისა და ეპოქის შესაფერი ნაგებობაც უეჭველად უნდა შექმნილიყო. ზოგნი იმასაც ამბობდნენ, „დინამოს“ ხელს ნუ ახლებთ, იგი წარსულის დიდების თავისებურ მუზეუმად უნდა დარჩეს და ახალი, თანამედროვე, დიდი სტადიონისთვის კი სხვა ადგილი გამოიძებნოსო.

განა მთლად მიუღებელი აზრია! მაგრამ სიმართლე მასში მაინც ნაწილობრივაა. თუ არა და, თბილისს თვალი გადავავლოთ და დავრწმუნდებით, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დიდუბის ქვემოუბნის სწორედ ეს ადგილია სტადიონისთვის ზედგამოჭრილი. თბილისის უმთავრესი ქუჩები აქეთ მოემართება და ხალხისთვის ეს მეტად ხელსაყრელია, სტადიონი უმალ ივსება და იცლება, კაცი გზად არა წვალობს, ადვილად მიდის და ადვილად ბრუნდება.

ადამიანების მსგავსად სტადიონებსაც აქვთ თავიანთი ბედი და იღბალი, დაბადების დღეც და ნათლობაც. სახელი მას ძველმა ბერძნებმა შეარქვეს — სარბენი ბილიკის სიგრძე, რომელზეც ელინთა შეჯიბრებები იმართებოდა, ქურუმის ექვსას ნატერფალს ანუ „სტადიოს“ უდრიდა და სიგრძის ეს ზომა მოგვიანებით თვით ნაგებობის სახელწოდებად იქცა. პირველი სტადიონიც, რაღა თქმა უნდა, ძველ საბერძნეთში ააგეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე — ოლიმპოში, კრონოსის მთაზე. სასპარეზო ნაგებობანი ჩვენშიც მრავლად ყოფილა, მაგრამ ძნელბედობის ჟამს ბევრის კვალი თითქმის პირწმინდად წაუშლია. ჩვენც ამიტომ ისტორიის წიგნის ფურცლებს არ შევუდგებით და მხოლოდ ახლო წარსულში გადავიხედავთ.

ცხრაასოცდათხუთმეტ წლამდე „დინამოს“ სტადიონი პლეხანოვის გამზირზე, კინოთეატრ „ოქტომბრის“ გვერდით იყო. ფეხბურთის მოედანს სარბენი ბილიკი ერტყა. სტადიონს ხალხი მრავლად ეტანებოდა, ვინაიდან აქ... ველოსიპედებს აქირავებდნენ და ეს „ახალი ხილი“ მაშინ ბევრს იტაცებდა. სხვათა შორის, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მაშინდელი კაპიტანი შოთა შავგულიძე იქვე ცხოვრობდა და „შეთავსებით“ მოედნის მოვლა-პატრონობაც არ ეთაკილებოდა, თამაშის წინ კი ორრიგად ჩამწკრივებულ სკამებს ასწორებდნენ თვითონ ფეხბურთელები და მოთელვას მერედა იწყებდნენ. უმთავრესი თამაშები დღევანდელი ლენინის სახელობის სტადიონზე იმართებოდა, რომელიც დინამოზე ადრე, ძველ ოფიცრებს „მფსონით“ აუშენებიათ. იმდროინდელთა გადმოცემით აქ თავს იყრიდა მთელი თბილისი. ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ სტადიონის ტრიბუნები ხუთიოდე ათას მაყურებელს იტევდა და მომსწრეს ეს რიცხვი მაშინდელი საზომებით მთელ თბილისად მოსჩვენებია.

ისე კი სპორტს საქართველოში გულშემატკივარი არ დაჰკლებია. ძველ კერპებს დოღსა და ჭიდაობას უამრავი მაყურებელი ჰყავდა. ამის დასტურად გაზეთ „დროებას“ დავიმოწმებთ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამლევს წერდა:

„არც სარა ბერნარზე და არც ადელინა პატიზე ასეთი თავისმტვრევა არ გვინახავს, როგორიც გლდანელის ჭიდაობაზეო“.

მაგრამ ახალი საუკუნე უკვე ახალ კერპს „ზრდიდა“ — ფეხბურთი შეტევაზე იყო და ხალხის გულსაც საოცარი სისწრაფით იპყრობდა. ამიტომ გადაწყდა აეშენებინათ ახალი სტადიონი, რომელიც დიდძალ ხალხს... თოთხმეტიათას მაყურებელს დაიტევდა, თუმცა მოწუწუნეებს ეს რიცხვი [illegible] იქვე თავიანთი გააბეს — ეს ამოდენა ტრიბუნები ნეტა ვის რათ უნდაო. შორსმჭვრეტელთა მაღლა იყო და არქიტექტორმა არჩილ ქურდიანმა იგი 23 ათას მაყურებელზე დააპროექტა, ხოლო მას შემდეგ რაც თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატში ჩაება, კიდევ 13 ათასი ადგილი დაუმატა.

1935 წელს დაიბადა „დინამოს“ სტადიონი, ხოლო მთლიანად მისი მშენებლობა ოცდაჩვიდმეტში მომთავრდა. თაღოვანი, ეროვნულ ყაიდაზე ნაშენები, კოხტად ნაჩუქურთმევი ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა ხალხის საყვარელი ადგილი გახდა.

„პრემიერა“ ახალ სტადიონზე 1935 წელს „დაიდგა“ და მას შემდეგ ქართული ფეხბურთის თითქმის ყველა უმთავრესი „სპექტაკლი“ აქ გათამაშდა. ერთი წლის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ კლასის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ „ა“ კლასში გადავიდა და საშემოდგომო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. ბოლო თამაში თბილისში ლენინგრადელებთან რომ მოეგოთ პირველ ადგილზე გამოვიდოდნენ, მაგრამ ორით სამზე წააგეს. იმ დღეს ცა ჩამოიქცა. ამბობდნენ ლენინგრადელებმა თავიანთი ამინდი ჩამოიტანესო. ისიც თქვეს, „დინამოს“ ბედი არა სწყალობსო. ალბათ მაშინ თუ დაიბადა მითი დინამოელთა უიღბლობის შესახებ, რომელსაც უნდა შევეკამათოთ და ვთქვათ, რომ კაცის ბედი მისივე ხასიათია, გუნდის ბედი მის წევრთა ხასიათია და რომ ბედიცა და იღბალიც ცის მანანა არ არის და საკუთარი მკლავით უნდა გამოიჭედოს.

თბილისის „დინამომ“ სახელი გაითქვა უწინარეს ყოვლისა ლამაზი, შემტევი, ტემპიანი თამაშით. ქართველ ფეხბურთელებს უკვე ყველა სტადიონზე სიხარულით ეგებებოდნენ.

ქართული ფეხბურთის დიდებას სათავე დაუდეს ანდრო ჟორდანიამ, ბორის პაიჭაძემ, გაიოზ ჯეჯელავამ, შოთა შავგულიძემ, ალექსანდრე დოროხოვმა, მიხეილ ბერძენიშვილმა... მათს გვერდით იყო ფეხბურთელთა მთელი პლეადა, რომლებსაც შეიძლება საქართველოს ფეხბურთის მშვენიერი წარსული ვუწოდოთ: ა. კიკნაძე, ნ. სომოვი, ა. ტყებუჩავა, გ. ჯორბენაძე, ბ. ფროლოვი, ვ. პანიუკოვი, თ. გავაშელი, გ. გაგუა, ა. შუდრა, ნ. ძიაპშიპა, გ. ანთაძე...

აქ, ამ სტადიონზე იჭედებოდა ელენე გოკიელის, ნინო დუმბაძის, ლევან სანაძის, რობერტ შავლაყაძის, ნადეჟდა დვალიშვილის საკავშირო და მსოფლიო რეკორდები...

თბილისის „დინამოს“ სტადიონი მომსწრეა თუ როგორ მიიწევდა დიდების მწვერვალისაკენ ქართული ფეხბურთი, როგორ გამოჩნდა მის ცაზე მთელი თანავარსკვლავედი, რომელმაც ახლებური ბრწყინვა მოიტანა: ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, ვლადიმერ მარღანია, იბრაგიმ სარჯველაძე, ვლადიმერ ელოშვილი, ანდრო ზაზროევი...

სტადიონი მაყურებელს ვეღარ იტევდა. და კიდევ ერთხელ მიადგა მას მშენებელი, იმატა ჩრდილოეთის ტრიბუნამ, მაგრამ ყველა გულშემატკივარს მაინც ვერ აუვიდა.

მოედანზე კი უკვე ის თაობა გამოდიოდა, რომელმაც ქართველი გულშემატკივარი ყველაზე მეტად გაახარა — მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, მურთაზ ხურცილავა, ზაურ კალოევი, სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი... და კვლავ ხდება „დინამოს“ სტადიონი მილიონობით გულშემატკივრის სიხარულის წყარო, რადგან სიტყვამ მოიტანა ვიტყვით, რომ სიხარულიცა და უგუნებობაც შეიძლება სტადიონზე დაიწყოს და მერე კაცს სახლამდე გაჰყვეს, ჩარხთან და დაზგასთან თავი მოაგონოს.

მართალია სტადიონის კედლებს იქით სპორტული შეჯიბრების, ვაჟკაცობის სარბიელია, მაგრამ ის ცალკე სამყარო არ არის. სპორტსმენიც მთელი ჩვენი ცხოვრების ერთი განუყოფელი და თვალსაჩინო ნაწილია და ყველაფერი რაც მის ირგვლივ არის მისი საქმეა და მასაც ეხება. იგი მთელი თავისი არსებით მგზნებარე უნდა იყოს, რაც ჩვენში ხდება გულთან მიჰქონდეს, აღელვებდეს და დროს მხარდამხარ მიჰყვებოდეს. ერთი სიტყვით, სტადიონის მაღალი კედელი ცხოვრების საერთო დინების წყალგამყოფი არ უნდა იყოს.

კარგა ხანია „დინამოს“ სტადიონი გულშემატკივარს ვერ იტევდა. ამ რამდენიმე წლის წინათ მისი განახლება გადაწყდა. სულ მალე კი თბილისის უმთავრეს სპორტულ ნაგებობას პირველი მაყურებელი ესტუმრება. დღეს გულშემატკივარს ბევრი რამ აინტერესებს, ჩვენც სტადიონს ამიტომ ვეწვიეთ და პირდაპირ ტრიბუნებზე რამდენიმე სახელდახელო ინტერვიუ ჩავიწერეთ.

**— რით განსხვავდება ახალი სტადიონი თავის წინამორბედისაგან?** — ვეკითხებით არქიტექტორ გია ქურდიანს, პროექტის ერთ-ერთ ავტორს.

— უწინარეს ყოვლისა მასშტაბით, ახლებური არქიტექტურით, გაბედული, ორიგინალური კონსტრუქციებით. სამოცდათხუთმეტ ათას მაყურებელს დაიტევს ტრიბუნები, რომლის ძირითადი ნაწილი გადახურულია, ორმოცდაათიათას კაცს მზე და წვიმა ვერაფერს დააკლებს.

მოედანი განათდება სახურავიდან, რადიოანძები თვალს აღარ შეუშლის, „გახმოვანებაც“ სახურავიდან წამოვა. რაც შეეხება თუჯისმოაჯირიან წივანს, იგი სტადიონს სამხრეთულ იერს მისცემს და შიდა და გარე სივრცეებს გააერთიანებს. სტადიონი თხუთმეტ წუთში შეივსება და ამდენივე ხანში დაიცლება.

როგორც სპორტსმენებმა უკვე გვითხრეს, მოედანზე ყოფნისას სივრცე კარგად აღიქმება, ეს კი ნიშნავს, რომ მოასპარეზეს ხელსაყრელი პირობები ჰქონია.

**— თქვენს გარდა პროექტის ავტორები ვინ არიან?**

— საბჭოთა კავშირის სახალხო არქიტექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი არჩილ ქურდიანი და კონსტრუქტორი შალვა გაზაშვილი.

ისევ ტრიბუნებზე ვართ. ერთი წუთით ვაჩერებთ თამაზ შელეგიას — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მესამე ტრესტ „თბილმრეწვმშენის“ პარტიული კომიტეტის მდივანს.

— სტადიონი მთელი ქალაქია, ყოველდღიურად აქ სამიათასამდე სპორტსმენი ივარჯიშებს, — გვეუბნება იგი.

**— დაგვისახელეთ მოწინავე მუშები, რომლებმაც მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს.**

— ეს მე მგონი ცალკე თემაა. მათს გვარებსა და საქმიანობას პატარა ინტერვიუ ვერ დაიტევს.

**— და მაინც...**

— გ. გელაშვილი, რ. გაგლოშვილი, მექანიკოსი გ. ფარცვანია, ინჟინერი გ. დოდელია, ელექტრომექანიკოსი ზ. მეფარიშვილი, ბრიგადირი შ. შეყილაძე... ელექტროშემდუღებელი ზ. ჯებისაშვილი.

შორიდანვე ვცნობ „დინამოს“ სპორტული კომპლექსის დირექტორს, წარსულში ბრწყინვალე ფეხბურთელს და თბილისელთა კაპიტანს ბორის პაიჭაძეს.

— დიდებული სტადიონია. რა ხილვადობაა, აბა შორეულ „კორნერს“ გახედეთ — ამბობს ბ. პაიჭაძე.

**— როდის გახსნით სტადიონს?**

— ზუსტი თარიღის თქმა ძნელია. ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია, მაგრამ ბევრი წვრილმანი დარჩა. გახსნისთვის საგანგებო სამხატვრო საბჭო შეიქმნა. ეს იქნება ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ზეიმი.

აღსანიშნავია, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა სტადიონის მშენებლობა არა თუ დამკვრელურ, არამედ ნამდვილ სახალხო სამშენებლო ობიექტად აქცია.

**— როგორი იქნება მოედანი?**

— ჩინებული...

სულმა წაგვძლია და სახელოვან სპორტსმენს „წმინდა ფეხბურთის“ სამყაროდან ერთი შეკითხვა მაინც მივეცით.

**— მსოფლიოს ყველა დროის იდეალურ ნაკრებში ქართველ ფეხბურთელთაგან ვის დაასახელებდით?**

— მიხეილ მესხს!

...ვტოვებთ სტადიონს. აქ ჯერ კიდევ მშენებლები ტრიალებენ და წვრილმანი საქმეც ბევრია, მაგრამ ვგრძნობთ — დიდი ფეხბურთი გვიახლოვდება. სულ ცოტა ხანი გაივლის და ამ მანქანების ხმაური უთვალავ გულშემატკივართა შეძახილებით შეიცვლება.

ზურაბ რცხილაძე.

## მუდამ წმიდათაწმიდა

# პურის მადლი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს მისმა მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ჩვენს გვერდით მაგიდასთან ხანში შესული კაცი იჯდა და სადილობდა. უცბად ხელიდან პურის ნატეხი გაუვარდა... იგი შეშფოთდა, დამნაშავესავით წამოწითლდა, დაიხარა, პური აიღო, დააცქერდა, თითქოს პატიებას სთხოვსო — შეუბერა, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა...

მესიამოვნა პურის მიმართ ასეთი მოწიწება, თაყვანისცემა და მაშინვე ჩემი ბებია (მამაჩემის დედა) გამახსენდა — თონეულს რომ აიღებდა ხელში, მომიტეხავდა, გამომიწვდიდა და მეტყოდა:

— აჰა, შვილო, ჭამე, ღმერთმა შეგარგოს, ოღონდ თუ დაგრჩა, შეინახე, არ გადააგდო, თავი არ შეირცხვინო. უნდა იცოდე, ვინც პურს პატივს არ სცემს, პურის მადლი გაუწყრება...

ყველას ყველაფერს აპატიებდა, ოღონდ პურის უპატივცემულობას კი არავის შეარჩენდა...

ერთხელ პაპამ უსაყვედურა:

— კავთელიანთ ქალო, ეს რა არის, დალოცვილო ჩვენი პური ისეა გამხმარი და ობმოკიდებული, რომ ცულიც კი ვერას უზამს...

— მერე, რა გნებავს?!

— ისა, რომ თონეს გავახურებ, მოზილე ცომი და პური გამოაცხე! მგონი სამომჭირნეო არაფერი გვაქვს, ბეღელში იმდენი ხორბალია, რომ ორ წელიწადს გვეყოფა...

— დოვლათი ვის გადაუყრია!

— მიიღო პასუხი — ქარის შემოტანილი ან მოპარული კი არა გვაქვს, შრომითა და ოფლით არის მოპოვებული. ღმერთმა არა ქნას, მაგრამ პურის მოსავალმა რომ გვიმტყუნოს, მაშინ რას იზამ?

პაპაჩემს ენა დაება და ვეღარაფერი უთხრა თავის მეუღლეს. ის კი განაგრძობდა:

— კარგად გახსოვდეს, გამხმარი და დაობებული პური მაშინ სანატრელი გაგიხდება. იმ დღეს ბებიაჩემმა პური არ გამოაცხო, ხმელი პური დაალბო წყალში, დაჭრა პატარა ნაჭრებად, შიგდა ცეცხლზე ქვაბი, მოხრაკულ ხახვსა და ერბოში ჩაყარა დაჭრილი პური, დახანების შემდეგ ზედ რამდენიმე კვერცხი დაახალა და, გაგიხარიან, სიამოვნებით შევექცეოდით გემრიელ კერძს, ხარშო რომ ჰქვია...

— შვილო, იცი ხორბლის მოყვანას რა დიდი შრომა სჭირდება? იტყოდა ხოლმე — ნიადაგი უნდა მოიხნას, დაითესოს, დაიფარცხოს, მოიმკას, გაილეწოს და დაბინავდეს, — თავმოსასხამის ბოლოებს აიკეცავდა და განაგრძობდა — ამიტომ არის, რომ თვითეულ მარცვალს გაფრთხილება უნდა!

არასდროს დამავიწყდება 1942 წლის დამდეგი, სუსხიანი ზამთარი, ბრიანსკის ფრონტი... ათეულის მებრძოლებმა ზემდეგისაგან დღის ნორმად ერთკილოგრამიანი შავი პური მივიღეთ. ბიჭებმა პური ცხრად დაანაწევრეს. ის იყო ჭამა დავაპირეთ, რომ მტრის ქვეითი შეტევაზე გადმოვიდა... ხანმოკლე შეტაკება ჩვენი ქვედანაყოფის გამარჯვებით დამთავრდა... მშივრები სათუთად გადანახულ პურს მადიანად შევექეცით... ამ ჩემს ფრონტულ დღიურს მივაწერე: „ბარაქალა გლეხის მარჯვენას. ვისაც არ უშიმშილია, ის პურის გემოს ვერასოდეს გაიგებს“.

იმ ჩვენი კარგი წინაპრებისა არ იყოს, მას შემდეგ მეც ვერ ვიტან ისეთ ადამიანს, ვინც პატივს არა სცემს პურს და ამ ძვირფას საკვებს პირუტყვს აჭმევს...

ამას წინათ დედაქალაქის გარეთ მოვხვდი, იქ, სადაც ნაგავი იყრება. ჩემი ყურადღება რამდენიმე მოფუსფუსე კაცმა მიიპყრო, ნაგავს რომ ქექავდნენ და პურის ნატეხების ხვავს აყენებდნენ...

პური ნაგავში?! განა ამაზე შემაზრზენი შეიძლება იყოს რამე?

გ. პაპიაშვილი.

## მოიგო „ვოლგა“

იღბლიანი აღმოჩნდა ყვარელში მცხოვრები სერგო ალექსის-ძე აზიზბეგიანის მიერ შეძენილი საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1976 წლის მეექვსე გათამაშების ლატარიის ბილეთი — № 479, სერია 16959, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

ი. რუსიაშვილი,
ყვარლის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

## წერილი თურქმენეთიდან

# კოლმეურნის მადლობა

ამას წინათ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში თურქმენეთის სოფელ ქეშის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობიდან წერილი მოვიდა, რომელსაც კოლმეურნე ორაზგელდი იაკუბოვი აწერს ხელს. იგი კოლმეურნეთა სახელით მადლობას უხდის საქართველოს მეჩაიეებს, ჩაის მრეწველობის მუშაკებს, ყველას, ვინც კი არომატული, მაღალხარისხოვანი ჩაის დამზადებაზე მუშაობს. „ჩვენთან, თურქმენეთში ძალიან ცხელა, 40-გრადუსიან სიცხეშიც კი, — წერს იაკუბოვი, — საკოლმეურნეო მინდვრებზე მომუშავე კოლმეურნეებს სიმხნევეს გვმატებს არომატული ქართული მწვანე (№ 110) და ბაიხის ჩაი. დიდი მადლობა, ქართველო მეგობრებო, თურქმენი თანამოძმეებისაგან — თქვენი ჩაი მხოლოდ სასმელი როდია — სასწაულების, ოქროს თაიგულია“. („კომ.“ კორ.).

# სტუმრად კოლმეურნეობაში

ქუთაისი. „საქწვენის“ ქუთაისის განყოფილებისა და სპორტ-კომიტეტის №2 სამშენებლო უბნის თანამშრომლები თერჯოლის რაიონის სიქთარვის კოლმეურნეობას ესტუმრნენ. მათ პირველად ზვრები დაათვალიერეს და კოლმეურნეებს საჭირო დახმარება აღმოუჩინეს. ასეთი სტუმრობა სოფლის მშრომელებისათვის მეტად სასურველია.

ივ. ბუხაიძე.

# ჯილდო მონადირეებს

მახარაძის რაიონში ყოველწლიურად მდიდრდება ფლორა და ფაუნა, რომელთაც იცავენ და ქომაგობენ აქაური მონადირეები.

ხამდვილი მონადირე ბრაკონიერის მტერია. ეს კარგად აქვთ შეგნებული მახარაძელ მონადირეებს. ამავე დროს ისინი ბეწვეულის დამზადების მხრივ რესპუბლიკაში პირველობას არავის უთმობენ. რაიონის მონადირეთა საზოგადოებამ (გამგეობის თავმჯდომარე გ. ჯინჭარაძე) სამონადირეო-სათევზაო და სამეურნეო საქმიანობაში მოპოვებული წარმატებებით, რაიონების მონკავშირთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და იგი საქართველოს „მონკავშირის“ პრეზიდიუმმა გარდამავალი წითელი დროშით და სიგელით დააჯილდოვა.

ჯილდო მახარაძელ მონადირეებს ამ დღეებში გადასცა საქართველოს მონკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. მემარნიშვილმა.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# კაცობურის ნაკრძალი

აბაშა. (საკ. კორ.). ანჯერის მასივში, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ნაკრძალი-მეურნეობა, რომელიც 1962 წელს შეიქმნა. მას კაცობურს ეძახიან.

მეურნეობას 300 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. მის ნოყიერ მიწაზე ხარობს სხვადასხვა ფოთლოვანი ხე. ტყეში მრავალი ცხოველ-ფრინველია — გარეული ღორი, მაჩვი, ტურა, კურდღელი, ხოხობი, იხვი. საჭირო ღონისძიებების შედეგად მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

## ჭადრაკი

# ა. მეტრეველი და თ. კაკულია — ევროპის ჩემპიონები

ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა ოსტატები.

მოსკოველებმა ოლგა მოროზოვამ და მარინე ჩუვირინამ გაიმარჯვეს წყვილთა ასპარეზობაში ქალებს შორის, ხოლო თბილისელებმა ალექსანდრე მეტრეველმა და თეიმურაზ კაკულიამ — ვაჟებში.

საინტერესოა, რომ ა. მეტრეველი და თ. კაკულია ახლა ერთმანეთს შეეცილებიან კონტინენტის ჩემპიონობას ერთეულთა თანრიგში.

## ჭადრაკი

# გათამაშდა უკანასკნელი ტური

ბერნი, 7 აგვისტო. (საკდესი). დანიელმა დიდოსტატმა ბენტ ლარსენმა გაიმარჯვა შვეიცარიის ქალაქ ბილში გამართულ მოჭადრაკეთა საზონათაშორისო ტურნირში — 12,5 ქულა. ბოლო ტურში მან ყაიმით დაამთავრა პარტია რობერტ ჰიუბნერთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). საბჭოთა დიდოსტატმა მიხეილ ტალმა და უნგრელმა ლაიოშ პორტიშმა მოაგროვეს 12-12 ქულა, ჰიუბნერმა და ვასილ სმისლოვმა — 11,5-11,5. ტიგრან პეტროსიანსა და ამერიკელ რობერტ ბირნს — 11-11 ქულა — ჯერ კიდევ აქვთ შანსი მიუახლოვდნენ ლიდერებს და მოხვდნენ „სანუკვარ სამეულში“. ორივემ უნდა დაამთავროს გადადებული პარტიები: პეტროსიანმა კუბელ კარლოს დიასთან, ხოლო ბირნმა ულფ ანდერსონთან (შვეცია). ჯერჯერობით მხოლოდ ტურნირის გამარჯვებულმა ლარსენმა გაინაღდა ადგილი პრეტენდენტთა ტურნირში. დანარჩენი ორი მონაწილე კი ამ პარტიების დამთავრების შემდეგ გამოვლინდება.

## მძლეოსნობა

# სსრკ — აშშ

ამ ორი ქვეყნის მძლეოსანთა რიგით მე-14 ტრადიციული მატჩი მიმდინარეობს ვაშინგტონში უნივერსიტეტის სტადიონზე. პირველი დღის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ნაკრები — 99:79 (ქალები — 53:20, ვაჟები — 46:59).

რბენა 100 მეტრზე მოიგო ლიუდმილა მასლაკოვამ, 400 მეტრზე — ნადეჟდა ილინამ, 1500 მეტრზე — ტატიანა კაზანკინამ, ამანათრბენა 4X100 მეტრზე — საბჭოთა ქალთა ნაკრებმა, სიმაღლეზე ხტომა — გალინა ფილატოვამ, ბადროს ტყორცნა — ფაინა მელნიკმა, ბირთვის კვრა — ნადეჟდა ჩიჟოვამ.

მონრეალში თბილისელმა ვიქტორ სანეევმა „ოქროს“ ნახტომით აჯობა ამერიკელ ბატსს, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. ვაშინგტონში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამმაგ ხტომაში ვ. სანეევმა კვლავ უკან მოიტოვა (მთელი 30 სანტიმეტრით) ძლიერი მეტოქე და მართლაც რომ დიდოსტატური შედეგი აჩვენა — 17,02 მეტრი. შეჯიბრების წინ ჩვენმა მძლეოსანმა თქვა, რომ მართალია, იგი ძალზე დაიღალა და „ძილში თავის სახლს ხედავს“, მაგრამ მაინც მთელი ძალით იასპარეზებს. როგორც ხედავთ, ვიქტორ სანეევმა სიტყვა ამჯერადაც გაამართლა.

## მხატვრის ღიმილი



უსიტყვოდ.

ა. მრაძის ნახ.

# ამინდი

გუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული, უნალექო ამინდი იდგა. ტემპერატურა ბარში — 24-26, მთაში — 21-24 გრადუსი იყო. ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღინიშნა ამბროლაურში — 30 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან მოწმენდილი, უნალექო ამინდი იდგა. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში — 30-34, მთიან რაიონებში — 26-30 გრადუსი იყო. თბილისში თერმომეტრი 34 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა — ღამით ზოგან მნიშვნელოვანი ელჭექით, იქროლებს დასავლეთის ქარი წამში 5-10 მეტრი. ტემპერატურა ბარში 23-28, მთაში 21-26 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დაუბერავს დასავლეთის ქარი წამში 5-10 მეტრი, ხოლო მტკვრის ხეობაში წამში 12-18 მეტრი სიძლიერით. ტემპერატურა ბარში — 28-33, მთაში — 19-24 გრადუსია მოსალოდნელი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი წამში 5-10 მეტრი სიძლიერით. თერმომეტრი — 31-33 გრადუსს უჩვენებს.

# ჩვენი კინოაფიშა



## ჯილდოები და სიგელები

კინორეჟისორ იან ლომნიცკის ფილმი „ჯილდოები და სიგელები“ მეორე მსოფლიო ომს ეძღვნება, ადამიანებს სხვაგვარად ესმით ომი. აქ მამა შვილისა და ძმა ძმის წინააღმდეგ იბრძვის. ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ ერთი ოჯახის წევრები, ერთი ორგანიზაციის თანამშრომლები...

ფილმის ოპერატორია ვესლავ რუტკოვიჩი.

როლებში: მაცეი რაიზახერი, ვიტოლდ დემბიცკი, ბარბარა ა. ვეესინსკა და სხვა. (პოლონეთი).



## ბოშათა ბანაკი ცად მიემგზავრება

ახალი მხატვრული ფილმი „ბოშათა ბანაკი ცად მიემგზავრება“, ახალგაზრდა წყვილის რადას და ლოიკოს ზობარას სიყვარულს გვიჩვენებს.

გორკის მოთხრობების განუმეორებლობამ და ბოშათა ცხოვრების მიმზიდველობამ მაიძულა შემექმნა ეს ფილმი, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ცნობილმა მოლდაველმა კინორეჟისორმა (გადაღებული აქვს ფილმები: „წითელი ველი“, „ეს წამი“, „გველოდეთ განთიადისას“ და სხვ.) და პოეტმა ემილ ლოტიანუმ. ფილმი გადაიღო ოპერატორმა სერგეი ვრონსკიმ, კომპოზიტორია ევგენი დოგა. მთავარ როლებში: სვეტლანა ტომა (გადაღებულია „წითელ ველში“, „ცოცხალ ლეშში“) და გრიგორე გრიგორიუ („წითელი ველი“, „დედამიწა მოკითხვამდე“; „პორტი“, „ანიჩკა“ და სხვ). („მოსფილმი“).



## ავკაცობა

დანაშაული ხშირ შემთხვევაში იქ კი არ უნდა ვეძებოთ, სადაც მოხდა, არამედ იქ, სადაც საფუძველი ჩაეყარა, მისთვის ნიადაგი მომზადდა. ასეა კინორეჟისორ ევგენი ტაშკოვის ფილმ „ავკაცობაშიც“. ასამართლებენ უმცროს კარეტნიკოვს. ბიჭს და მის გავლენის ქვეშ მოქცეულ სლავკა სლავინს ბრალად ედებათ მეზობლის საკუთრების გაქურდვა.

დანაშაული ჭეშმარიტად სერიოზულიაო, ამბობს ვალოდიას დამრიგებელი პაველ სერგეევიჩი. და მაინც, უველაფრის თავი და თავი სკოლა როდია. ოჯახი, აი — ნათელი მაგალითი და პირველი წყარო ყველა მოზარდისათვის.

ფილმის მეორე სერიაში კი უფროს კარეტნიკოვს ასამართლებენ. თანამდებობას ამოფარებული მამა არხეინად ფლანგავს სახელმწიფო ქონებას. მამის მაგალითზე აღზრდილი შვილი სხვათა სურვილებს არას დაგიდევთ.

სურათის ოპერატორია სერგეი ზაიცევი, კომპოზიტორი — ანდრეი ეშპაი.

როლებში: იგორ ოზეროვი, ელენა გაბეტი, ლუდმილა გურჩენკო, იური სოლომინი, ვლადისლავ სტრჟელჩიკი, ირინა შევჩუკი და სხვანი. („მოსფილმი“).

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

### 8 აგვისტო

#### პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — დოკუმენტური ფილმი „ევროპის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო მეოთხედი საუკუნის შემდეგ“ (ქართულ ენაზე), 11.55 — სომხეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 12.40 — ცეროდენას ეკრანი, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოს მოყვარულთათვის“ — „ჯადოსნური ფარანი“. ფერადი გამოსახულებით, 14.20 — „კინონარკვევი, 14.30 — „პოეზია“ — ნიკოლოზ ბარათაშვილი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „საქართველოში პროფტექნიკური განათლების ისტორიიდან“, 15.20 — კინონარკვევი, 15.30 — „კინოაფიშა“, 16.05 — „დღეს მშენებლის დღეა“ — სტუდიაში სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი გ. კარავაევი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.20 — ბათუმის ახალგაზრდული ანსამბლი „მშენებელი“ — ფერადი გამოსახულებით, 16.40 — კინონარკვევი, 16.50 — „ჯანმრთელობა“ — „მეტი ყურადღება სანიტარული წესრიგის დაცვას“, 17.05 — გონივრულად ვხარჯოთ წყალი, 17.20 — „მღერიან მაყვალა და არჩილ ჩიხლაძეები“, 17.50 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „განახლებული მესხეთი“, 19.10 — თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა კონცერტი, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — სატელევიზიო დადგმა „ორი კომედია“, 21.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მუსიკალური შეხვედრები“. ფერადი გამოსახულებით).

#### მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის სატელევიზიო შემეცნებითი ჟურნალი „მოზაიკა“, 18.45 — მხატვრული ფილმი „პირად საკითხებზე მიღების დღე“.

## რადიო

### 9 აგვისტო

#### პირველი პროგრამით

10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ო. თაქთაქიშვილი. კამერული ნაწარმოებები, 11.45 — რადიონარკვევი „ისინი აჩქარებენ ტექნიკურ პროგრესს“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ა. მირცხულავას ლექსები, 12.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“, ლ. ქიაჩელი „გვადი ბიგვა“, 15.00 — „მეგობართა ხმები“ (გადმოცემა მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან), 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „კარავი ძტკვრის პირას“, 18.10 — ქართული საორკესტრო პიესები, 19.00 — საუბარი „გარანტირებული დისციპლინა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.28 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი“, 23.30 — საესტრადო კონცერტი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივანი — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08994

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14